

ჩვენი თანობა

ჩვენი

ბ. ჯიბა



საქართველოს საბავშვო გამომცემლობა



ჩვენი თაობა

12 756

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური ჟურნალი

1

იანვარი

1 9 3 7

თბილისი



შ ი ნ ა რ ს ი:

	23
თ. ბ. სტალინი — ფ ი ც ი	
სიტყვა წარმოთქმული საბჭოების მე-2 საკავშირო ყრილობის ვ. ი. ლენინის ხსენის აღსანიშნავად მიძღვნილ სამგლოვიარო სხდომაზე 1924 წ. 26 დანვარს	3
ქვეყანა მიესალმება სამართლიან განაჩენს	7
საქართველოს საბჭოთა მწერლების მიმართვა	
ამხ. ლავრენტი ბერიასადმი	11

მხატვრული ლიტერატურა

ა. პუშკინი:	
ელეგია — თარგმ. ი. მოსაშვილისა	14
ჩემი გმირის გვარიშვილობა — თარგმ. ვ. გაფრინდაშვილისა	16
ჩადადვისადმი — თარგმ. გრ. ცეცხლაძისა	17
ზღვას — თარგმ. ა. სიკინაეასი	18
ბრინჯაოს მხედარი — თარგმ. ვ. გაფრინდაშვილისა	21
ბახჩისარაის შადრევანი — თარგმ. კ. ჭიჭინაძისა	23
ბ. ლომიძე — პუშკინისადმი	39
ვაჟა ჩხენკელი — „	40
ა. პუშკინი — ქარბუქი, თარგმ. ილია აგლაძისა	41

ქ რ ი ტ ი კ ა

ლევან ასათიანი — ა. პუშკინი და ი. ჭავჭავაძე	51
ბენიკო ბუაჩიძე — ხალხურობის საკითხი საბჭოთა მწერლობაში	54



3. 0. 305050

ზ ი ც ი

სიტყვა წარმოთქმული საბჭოების მე-2 საკავშირო ყრილობის
 ვ. ი. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად მიძღვნილ სამგლოვიაკო
 სხდომაზე 1924 წ. 26 იანვარს.

ჩვენ, კომუნისტები, — განსაკუთრებული აგებულობის ხალხი ვართ. ჩვენ გამოკვეთილი ვართ განსაკუთრებული მასალისაგან. ჩვენ — ისინი ვართ, რომელნიც შეადგენენ უდიდესი პროლეტარული სტრატეგის არმიას, ამხანაგ ლენინის არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე ღირსება — ეკუთვნოდე ამ არმიას, არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, როგორც პარტიის წევრის წოდება, იმ პარტიისა, რომლის დამაარსებელსა და ხელმძღვანელს წარმოადგენს ამხანაგი ლენინი. ყველას არ შეუძლიან იყოს წევრი ასეთი პარტიისა. ყველას არ შეუძლიან აიტანოს ის გაჭირვება და ქარიშხალი, რომელიც დაკავშირებულია ასეთი პარტიის წევრობასთან. მუშათა კლასის შვილები, გაჭირვებისა და ბრძოლის შვილები, აუტანელ შევიწროებათა და გმირულ თავდადებათა შვილები — აი ვინ უნდა იყოს, უპირველესად ყოვლისა, ასეთი პარტიის წევრი. აი რატომ არის, რომ ლენინელების პარტიას, კომუნისტების პარტიას ამავე დროს ეწოდება მუშათა კლასის პარტია.

მიდიოდან რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდებრად ჩვენ, მაღლა გვეჭიროს და წმინდად დავიცვათ პარტიის წევრის დიდი სახელი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდებრს.

ამხანაგი ლენინი 25 წლის განმავლობაში სჭედდა ჩვენს პარტიას და გამოსჭედა იგი, როგორც მსოფლიოში ყველაზე უფრო მტკიცე და ყველაზე გამობრძქმედილი მუშათა პარტია. ცარიზმისა და მისი დამქაშების მახვილი, ბურჟუაზიისა და შემამულეების სიათორე, კოლჩაკისა და დენიკინის შეიარაღებული თავდასხმანი, ინგლისისა და საფრანგეთის შეიარაღებული ჩარევა, ბურჟუაზიული ბეჭდვითი სიტყვის ასპირიანი სიტყუე და ჭორები, — ყველა ეს მორიელნი განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ ჩვენს პარტიას მეოთხედი საუკუნის მანძილზე. მაგრამ ჩვენი პარტია იდგა, როგორც კლდე, იგერიებდა მტრების უთვალავ იერიშს და მიჰყავდა მუშათა კლასი წინ. გამარჯვებისაკენ. მკაცრ ბრძოლებში ჩვენმა პარტიამ გამოსჭედა თავისი რიგების მთლიანობა და სიმჭიდროვე. მთლიანობით და შემჭიდროვებით მიღწია მან ნუშათა კლასის მტრებზე გამარჯვებას.

მიდიოდა რა ჩვენთან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერად ჩვენ, დავიცვამთ ჩვენი პარტიის მთლიანობა, როგორც თვალის ჩინი. გაფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძს.

მძიმე და აუტანელია მუშათა კლასის ხვედრი. მტანჯველი და სამძიმოა მშრომელთა განცდანი. მონები და მონაბომფლობელნი, ყმები და ბატონები, გლეხები და მემამულენი, მუშები და კაპიტალისტები, ჩაგრულნი და მჩაგვრელები — ასე შენდებოდა ქვეყანა ძველთაგანვე, ასეთად რჩება ის ახლაც ქვეყნის უდიდეს უმრავლესობაში. საუკუნეთა განმავლობაში ათჯერ და ასჯერ უცდიათ მშრომელებს ჩამოეგდოთ მჩაგვრელები და გამხდარიყვნენ თავისი მდგომარეობის ბატონ-პატრონნი. მაგრამ ყოველთვის დამარცხებულნი და შეურაცყოფილნი იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ, გულში ჩაეხშოთ დამცირება, შეურაცყოფა, სიძულვილი და სასოწარკვეთილება და გამოუცნობი ცისაყენ მიეპყრათ თვალნი, საიდანაც ისინი ელოდნენ განთავისუფლებას. მონობის ჯაჭვი რჩებოდა ხელშეუხებელი, რადგან ძველ ჯაჭვს სცვლიდა ახალი, ისეთივე მძიმე და დამამცირებელი. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში მოახერხეს დაჩაგრულმა და დაბეჩავებულმა მასებმა მემამულეთა და კაპიტალისტების ბატონობის დამხოვა და მის მაგიერ მუშებისა და გლეხების ბატონობის დამყარება. თქვენ იცით, ამხანაგებო, და ახლა მთელი ქვეყანა სცნობს ამას, რომ ამ გიგანტურ ბრძოლას ხელმძღვანელობდა ამხანაგი ლენინი და მისი პარტია. ლენინის სიდიადე, პირველ ყოვლისა, სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მან, შეჰქმნა რა საბჭოების რესპუბლიკა, შეჰქმნა რა პროლეტარიატის დიქტატურა, საქმით უჩვენა ყველა ქვეყნის ჩაგრულ მასებს, რომ ხსნის იმედი დაკარგული არ არის, რომ მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა არ არის მუდმივი, რომ შრომის სამეფოს დამყარება შეიძლება თვით მშრომელთა ძალღონით, რომ შრომის სამეფო საჭიროა დამყარდეს მიწაზე და არა ზეცაზე. ამით მან განთავისუფლების იმედით აანთო ყველა ქვეყნის მუშებისა და გლეხების გული, სწორედ ამით აიხსნება ეს ფაქტი, რომ ლენინის სახელი მშრომელთა და ექსპლოატირებული მასების ყველაზე საყვარელი სახელი გახდა.

მიდიოდა რა ჩვენთან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერად ჩვენ, დავიცვამთ და განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურა. გაფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ არ დავფორგავთ ჩვენს ძალებს იმისათვის, რომ ღირსეულად შევასრულოთ ეს შენი ანდერძიც.

პროლეტარიატის დიქტატურა ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მუშათა და გლეხთა კავშირის საფუძველზე. ეს პირველი და ძირითადი საფუძველია საბჭოთა რესპუბლიკისა. მუშები და გლეხები ვერ დაამარცხებდნენ კაპიტალისტებსა და მემამულეებს ასეთი კავშირი რომ არ ყოფილიყო. მუშები ვერ შესძლებდნენ კაპიტალისტების დამარცხებას გლეხობის დაუხმარებლად. გლეხები ვერ შესძლებდნენ მემამულეების დამარცხებას მუშებს რომ ხელმძღვანელობა არ გაეწიათ. ამაზე ლაპარაკობს ჩვენს ქვეყანაში წარმოებულნი სამოქალაქო ომის

მთელი ისტორია. მაგრამ საბჭოთა რესპუბლიკის განმტკიცებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა — მან მიიღო მხოლოდ ახალი ფორმა. წინათ მუშათა და გლეხთა კავშირს ჰქონდა სამხედრო კავშირის ხასიათი, რადგან ის ნიმართული იყო კოლჩაკისა და დენიკინის წინააღმდეგ. ახლა მუშათა და გლეხთა კავშირმა უნდა მიიღოს ქალაქსა და სოფელს შორის, მუშებსა და გლეხებს შორის სამეურნეო თანამშრომლობის ფორმა, რადგან იგი მიმართულია ვაჭრისა და კულაკის წინააღმდეგ, რადგან იგი მიზნად ისახავს მუშებისა და გლეხების ურთიერთ მომარაგებას ყველა საჭირო საგნებით. თქვენ იცით, რომ არავინ ისე მტკიცედ არ ატარებდა ამ ამოცანას, როგორც ამხანაგი ლენინი.

მიდიოდა რა ჩვენთან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდარქა ჩვენ, მთელი ძალღონით განვამტკიცოთ მუშათა და გლეხთა კავშირი. გეფიცებით, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ, ღირსაულად შევასრულებთ ამ შენს ანდარქსაც.

საბჭოების რესპუბლიკის მეორე საფუძველს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ეროვნებათა მშრომელების კავშირი. რუსები და უკრაინელები, ბაშკირები და ბელორუსები, ქართველები და აზერბეიჯანელები, სომხები და დაღესტნელები, თათრები და ყირგიზები, უზბეკები და თურქმენები — ყველა ისინი ერთნაირად არიან დაინტერესებული პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებაში. მართო პროლეტარიატის დიქტატურა კი არ იცავს ამ ხალხებს ბორკილებისა და ჩაგვრისაგან, არამედ ეს ხალხებიც იცავენ საბჭოების რესპუბლიკას მუშათა კლასის მტრების ბრწყალებისა და თავდასხმისაგან თავისი უანგარო ერთგულებით. საბჭოთა რესპუბლიკისადმი, თავისი მზადყოფნით თავი დასდონ მისთვის. აი რატომ ლაპარაკობდა დაუღალავად ამხანაგი ლენინი ჩვენი ქვეყნის ხალხთა ნებაყოფლობითი კავშირის აუცილებლობის შესახებ, საბჭოთა კავშირის ფარგლებში მათი ძმური თანამშრომლობის საჭიროების შესახებ.

მიდიოდა რა ჩვენთან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდარქა ჩვენ, განვამტკიცოთ და განვფართოვოთ რესპუბლიკათა კავშირი. გეფიცებით, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსაულად შევასრულებთ ამ შენს ანდარქსაც.

პროლეტარიატის დიქტატურის მესამე საფუძველს წარმოადგენს ჩვენი წითელი არმია და წითელი ფლოტი. ლენინი არა ერთხელ გვეუბნებოდა ჩვენ, რომ შესვენება, რომელიც მოვიპოვეთ კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან, შეიძლება ხანმოკლე აღმოჩნდეს. ლენინი არა ერთხელ მიგვითითებდა ჩვენ, რომ წითელი არმიის განმტკიცება და მისი მდგომარეობის გაუმჯობესება ჩვენი პარტიის ერთერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. კერზონის ულტიმატუმთან და გერმანიაში არსებულ კრიზისთან დაკავშირებულმა მოვლენებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ლენინი, როგორც ყოველთვის, მართალი იყო. შეეფიცოთ, ამხანაგებო, რომ ჩვენ არ დავზოგავთ ძალებს იმისათვის, რათა განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, ჩვენი წითელი ფლოტი.

უზარმაზარ კლდედ სდგას ჩვენი ქვეყანა, ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა

ოკეანით ვარემოცული. ტალღა-ტალღაზე ეხეთქება მას და ემუქრება — ჩას-
ძიროს და გადარეცხოს იგი. კლდე კი სდგას შეურყეველად. რაშია მისი ძალა?
არა მარტო იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა ეყრდნობა მუშათა და გლეხთა კავ-
შირს, რომ ის გამოხატავს თავისუფალ ეროვნებათა კავშირს, მას იცავს წი-
თელი არმიისა და წითელი ფლოტის ძლიერი ხელი. ჩვენი ქვეყნის სიძლიერე,
მისი სიმამრე, მისი სიმტკიცე მდგომარეობს იმაში, რომ მას აქვს ღრმა თანა-
გრძნობა და შეურყეველი დახმარება მთელი ქვეყნის მუშებისა და გლეხების
ვულში. მთელი ქვეყნის მუშებსა და გლეხებს სურთ დიაცვან საბჭოების რეს-
პუბლიკა, როგორც ამხანაგ ლენინის საიმედო ხელით მტრების ბანაკში გასრო-
ლილი ისარი, როგორც ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან თავისდაღწევის იმე-
დების დასაყრდენი, როგორც საიმედო შუქურა, რომელიც უჩვენებს მათ გან-
თავისუფლების გზას. მათ სურთ შეინახონ ის და ნებას არ მისცემენ მემამუ-
ლეებსა და კაპიტალისტებს დაანგრიონ იგი. ამაშია ჩვენი ძლიერება, ამაშია
ყველა ქვეყნის მშრომელთა ძლიერება, ამაშივეა მთელი ქვეყნის ბურჟუაზიის
უძლიერება.

ლენინი საბჭოების რესპუბლიკას არასოდეს არ უცქეროდა, როგორც
თვითმიზანს. იგი ყოველთვის მიაჩნდა მას რევოლუციური მოძრაობის გაძლი-
ერებისათვის აუცილებელ რგოლად დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყ-
ნებში, აუცილებელ რგოლად კაპიტალზე მთელი ქვეყნის მშრომელთა გამარ-
ჯვების გაადვილებისათვის. ლენინმა იცოდა, რომ მხოლოდ ასეთი გაგებაა
სწორი არა მარტო საერთაშორისო თვალსაზრისით, არამედ თვით საბჭოთა
რესპუბლიკის დაცვის თვალსაზრისითაც. ლენინმა იცოდა, რომ მხოლოდ ამ
გზით შეიძლება მთელი ქვეყნის მშრომელთა გულის ანთება განთავისუფლები-
სათვის გადამწყვეტ ბრძოლებში. აი რატომ ჩაუყარა მან, პროლეტარიატის
გენიოს ბელადთა შორის უგენიოსესმა, პროლეტარიატის დიქტატურის მეორე
დღესვე საფუძველი მუშათა ინტერნაციონალს. აი რატომ არ ისვენებდა ის
მთელი ქვეყნის მშრომელების კავშირის — კომუნისტური ინტერნაციონალის
გაფართოებისა და განმტკიცებისათვის.

თქვენ ნახეთ ის ათეული და ასეული ათასი მშრომელები, რომელნიც მი-
დიოდნენ ლენინის კუბოსთან. რამდენიმე ხნის შემდეგ თქვენ ნახავთ აქ მრავ-
ალმილიონ მშრომელთა წარმომადგენლებს, რომელნიც პატივისცემით მიე-
ლენ ლენინის საფლავზე. შეიძლება დარწმუნებული იყოთ, რომ მილიონ
მშრომელთა წარმომადგენლებს თან მიჰყვებიან ათეული და ასეული მილიონ-
ების წარმომადგენლები ქვეყნიერების ყველა კუთხიდან იმისათვის, რათა
დაამოწმონ, რომ ლენინი იყო ბელადი არა მარტო რუსეთის პროლეტარია-
ტისა, არა მარტო ევროპელი მუშებისა, არა მარტო კოლონიური აღმოსავლე-
თისა, არამედ იგი იყო ბელადი მთელი დედამიწის მშრომელთა სამყაროსი.

მიდიოდა რა ჩვენთან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდობდა
ჩვენ კომუნისტური ინტერნაციონალის პრინციპებისადმი
ერთგულება. გაფიცებით ვენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ
არ დავზოგავთ ჩვენს სიცოცხლეს იმისათვის, რომ განვა-
მტკიცოთ და გავაფართოვოთ მთელი მთავრის მშრომელ-
თა კავშირი — კომუნისტური ინტერნაციონალი.

მთელი ჩვენი ქვეყანა დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ანტი-საბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესს. საბრალმდებლო დასკვნას, სასამართლოს ანგარიშს, რომელიც ჩვენს პრესაში ყოველდღე ქვეყნდებოდა, სახელმწიფო ბრალმდებლისა და დამცველთა სიტყვებს—ყოველივე ამას იხილავდნენ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში. და ათასჯერ მართალი იყო ამხ. ვიშინსკი, რადგინაც მან თავისი ბრწყინვალე საბრალმდებლო სიტყვაში, ბრალდებულთათვის სასჯელის ღონისძიების ჩამოყალიბებისას, განაცხადა, რომ ეს არის არა მარტო მისი მოთხოვნა, არამედ მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის ნება-სურვილიც.

თვითეული პატიოსანი მოქალაქის გულმკერდში სდებოდა სიძულვილი, რომა სიძულვილი დამნაშავეთა ბანდისადმი, რომელნიც ცდილობდნენ უკულმა წარემართათ ჩვენი ცხოვრება და მოესპოთ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ყველა მონაპოვარნი. მრავალრიცხოვან რეზოლუციებში მშრომელებმა საქვეს თავისი მკაცრი, მაგრამ სამართლიანი სიტყვა: მოვსპოთ სამშობლოს საზიზღარი მოღალატენი!

გუშინ გამოქვეყნდა სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენი, რომელიც გამოტანილ იქნა შვიდი დღის განმავლობაში საქმის გულდასმით გარჩევის შემდეგ. ტროცკისტ-არამზადათა, მავნებელთა, დივერსანტთა, ფაშისტების აგენტთა გათახსირებულ ბანდას დამსახურებისამებრ მიეზლო.

ვაზეთებმა, ტელეგრაფმა, რადიომ ჩვენი სახელმწიფოს ყველა კუთხეს, მთელს მსოფლიოს მოსდეს სასამართლოს გადაწყვეტილება, კმაყოფილებითა და ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა საბჭოთა ხალხი სასამართლოს განაჩენს.

„კიროველები გულმხურვალედ მიესალმებიან სსრ კავშირის უზენაეს სასამართლოს, რომელმაც თავის განაჩენით გამოხატა დიადი საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნა“, — სწერენ ლენინგრადის უდიდესი საწარმოს, კიროვის ქარხნის მუშები. უკრაინიდან და ურალიდან, საქართველოდან და დასავლეთ ციმბირიდან, ქარხნებიდან და ფაბრიკებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან და კოლმეურნეობებიდან — ყოველი კუთხიდან, სადაც კი საბჭოთა პატრიოტის პატიოსანი გული სძგერს, მძლავრ ნაკადად მოემართება სიტყვები მისალმებისა უზენაესი სასამართლოსადმი.

„ჩვენ, „კრასნაია როზის“ კომბინატის (მოსკოვი) მუშები და მუშა-ქალები, უდიდესი კმაყოფილებით მივესალმებოდით და ვიწონებთ სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენს ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის საქმეზე. ამ განაჩენმა გამოხატა მთელი ხალხის ნება-სურვილი. პროლეტარული სასამართლოს განაჩენი მძლავრად ჩასცემს ლახვარს საერთაშორისო კონტრევოლუციის მოწინავე რაზმს—ტროცკიზმს. დეე იცოდნენ და ახსოვდეთ ჩვენი ქვეყნის ყველა მტერთ, რომ ხალხის ხელში არასოდეს შედრკება პროლეტარული დიქტატურის ფოლადის მახვილი. და, ვინც ხელს აღმართავს ჩვენი დროშის, ჩვენ რევოლუციურ მონაპოვართა წინააღმდეგ, მასაც ასეთივე ბედი ეწევა. საზიზღართა შორის უსაზიზღრესს, ხალხის მტერს იუდა-ტროცკის ვერ ასცდება პროლეტარიატის რისხვა ყველა თავის საზიზღარ, სისხლიან ბოროტმოქმედებათათვის. ჩვენ მოვითხოვთ უსწრაფესად იქნას გამოძიებული მემარჯვენე გარეწრების — ბუხარინის, რიკოვის, უგლანოვის საქმიანობა. ჩვენ, მუშები და მუშა-ქალები გრანტიტის კედლად აღვიმართებით ჩვენი ბელადების, ჩვენი ძვირფასი, საყვარელი ამხანაგი სტალინის გარშემო“.

განაჩენს იწონებენ მუშები, რომლებიც ტროცკისტებს. კვლავ უნდოდათ გადაექციათ კაპიტალიზმის მონებად, რომელთა ქარხნები და ფაბრიკები კაპიტალიზმის რესტავრატორებს სურდათ ბურჟუაზიისათვის გადაეცათ. განაჩენს იწონებენ საბჭოთა გლეხები, რომელთა კოლმეურნეობანი მსჯავრდადებულ დამნაშავეებს განზრახული ჰქონდათ დაეშალათ და საბჭოთა სოფლის მშრომელნი მიეტრიალებინათ უკან, სილატაკისაკენ, მცირემიწიანობისაკენ, სახნისისა და კულაკური მონობისაკენ. განაჩენს იწონებენ საბჭოთა ინტელიგენტები, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ადამიანები, ყველანი, ვისაც კი სოციალისტურმა წყობილებამ მიანიჭა არნახული შესაძლებლობანი შემოქმედებითი საქმიანობისათვის ხალხისა და მთელი კაცობრიობის სასიკეთოდ. განაჩენს იწონებენ ჩვენი საზღვრების მამაცი დამცველნი — წითელარმიელნი და წითელფლოტელნი, — ტროცკისტებანდიტები ცდილობდნენ ლახვარი ჩაეცათ წითელი არმიისათვის ზღურჯიდან, რისთვისაც ხრამში გადასჩეხავდნენ ხოლმე მებრძოლთა ეშელონებს, ფაშისტურ გენერალურ შტაბებს აწვდიდნენ სამხედრო საიდუმლოებებს. განაჩენს იწონებენ საბჭოთა კავშირის ყველა პატიოსანი მოქალაქენი, ვაჟნი და ქალნი ჩვენი სახელოვანი დიადი სამშობლოსი, რომელიც მოღალატეებსა და გამცემლებს უნდოდათ მიეყიდნათ გერმანელი ფაშისტებისა და იაპონელი სამურაებისათვის, უნდოდათ გადაექციათ კოლონიად.

ასეთს და მხოლოდ ასეთს განაჩენს მოელოდნენ საბჭოთა ადამიანები, მოელოდნენ საბჭოთა კავშირის ყველა მეგობარნი საზღვარგარეთ!

საბჭოთა კავშირის დედაქალაქის — მოსკოვის მშრომელებმა სახალხო დემონსტრაციით უპასუხეს ტროცკისტ მავნებელთა და ტერორისტთა ხროვისათვის. გამოტანილ განაჩენს. მოსკოველთა ტრანსპარანტებსა და პლაკატებზე დაწერილი იყო სიტყვები მადლობისა სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოსადმი სამართლიანი გადაწყვეტილებისათვის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი — ამ საძაგელი ხროვის გამოაშკარავებისათვის. მრავალათასიანი დემონსტრაციები მშრომელებისა, რომელნიც მივესალმებოდნენ სოციალიზმის დაუძი-

ნებელი მტრებისათვის მსჯავრდადებას, გაიმართა ლენინგრადში, სვერდლოვსკ-ში, ტულასა და სხვა ქალაქებში.

მშრომელთა მოწონების გუგუნში წითელ ძაფად გავლებულია ერთი აზრი: უნდა ვიმუშაოთ უფრო უკეთ, უფრო ნაყოფიერად, რათა არა მარტო ავინახ-ლაუროთ ის ზარალი, რომელიც ტროცკისტ-მავნებლებმა ჩვენს ქვეყანას მოუტა-ნეს, არამედ კიდევ უფრო სწრაფად, ვიდრე. დღემდის, ვამრავლოთ ხალხის სიმ-დიდრე, ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და სიდიადის მატერიალური ბაზა. თა-ვის მიმართვაში საბჭოთა კავშირის ყველა მუშისადმი მოსკოვის ქარხანა „სერპ-ი მოლოტის“ კოლექტივი სწერს:

„ჩვენ ახლა კიდევ უფრო მეტი ენერგიითა და შეუპოვრობით უნდა მოვ-კიდროთ ხელი მავნებლობის შედეგთა ლიკვიდაციას. ამხანაგო მეტალურგებო, ამხანაგო ქვანახშირის მრეწველობის მუშაკნო, ამხანაგო ენერგეტიკოსებო, ამ-ხანაგო ქიმიკოსებო, ამხანაგო რკინიგზელებო! ჩვენ ახლა მოვალენი ვართ კიდევ უფრო ღრმად შევიხედოთ ჩვენ საწარმოთა ყველა კუთხეში, სოციალისტური პატრონის თვალთ მოვჩხრიკოთ ყველა ბნელი ადგილი, ჩამოვიშოროთ ყველა ლაქა, შეწყობილი სტახანოვური შრომით ავუნახლაურღოთ ჩვენს ქვეყანას ის ზიანი, რომელიც ჩვენ ტროცკისტ-ბანდიტებმა მოგვაყენეს... 1937 წელმა უნდა მოგვეცეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შრომის ისეთი ნაყოფიერება, როგორსაც არ იცნობდა და არ იცნობს კაპიტალისტური მსოფლიო...“

მშრომელებს პროცესიდან თავისთვის სავსებით სწორი დასკვნა გამოჰყავთ: იყვნენ კიდევ უფრო ფხიზელნი, შეისწავლონ მტრის საქმიანობის რომელიც გნებავთ ხერხისა და მეთოდების გამოცნობა. არ დასტოვონ უყურადღებოდ, გამოუძიებლად და დაუსჯელად მავნებლობის არცერთი სულ უმნიშვნელო აქტიც კი. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც სიფხიზლე ნამდვილი იყო და არა მოჩვენებითი, იქ მტერი ვერ ახერხებდა მოეყენებინა ზიანი, რაგვარა-დაც უნდა ცდილიყო იგი ამას.

„ჩვენ გავაათქეცებთ კლასობრივ რევოლუციურ სიფხიზლეს, — აცხადებენ მოსკოვის ფრუნზეს სახელობის ქარხნის მუშები, — და დაუზოგავად ვამხელოთ და გავანადგურებთ ყველას, ვინც კი ცდილობს არიოს ჩვენი ფოლადისებური რიგები და შეანელოს ჩვენი ნაბიჯი ბრწყინვალე მომავლის გზაზე“.

მშრომელთა მრავალრიცხოვანი გამომხატურება განაჩენზე გამსჭვალულია მხურვალე სიყვარულითა და უსაზღვრო ნდობით ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, ვისი წინამძღოლობითაც საბჭოთა კავშირის ხალ-ხნი სპობენ ყველა მტერს თავის ძღვევამოსილ გზაზე.

სოციალისტური მართლმსაჯულების ბასრი მახვილი შეუბრალებლად თავს დაატყდა ერთმუჭა დამნაშავეებსა და მოლალატეებს. დეე იკოდნენ იმათმა მოკავშირეებმა საზღვარგარეთ, ფაშიზმის ბანაკში, რომ ასეთივე ბედი მოელის ყველას, ვინც განიზრახავს აღმართოს ხელი ჩვენი ქვეყნის თავისუფლების და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ვინც განიზრახავს აღგვიდგეს აღამიანის ბედ-ნიერების მწვერვალებსაქენ მიმავალ ჩვენს ძღვევამოსილ გზაზე. დეე იკოდეს უსაზიზღრესმა საზიზღართა შორის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დაუცხრო-

მელმა მტერმა, ახალი ომის გაცოფებულმა გამჩალებელმა იუდუშკა ტროცკიმ, რომ მასაც არ ასცდება ხალხის რისხვა. მასაც, ფაშიზმის გაშიშვლებულ და საზიზღარ მოკავშირეს, ეწევა მკაცრი სასჯელი იმ საშინელი ბოროტმოქმედებებისათვის, რომლებსაც იგი სჩადიოდა და სჩადის. ჩვენი მძლავრი, ურყევი სამშობლო გააცამტვერებს ყველას, ვინც ხელს აღმართავს მისი მთლიანობისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ვერავინ, ვერავინ ვერ შეუშლის ხელს საბჭოთა ხალხს ცხოვრობდეს, იმარჯვებდეს, ძღვევამოსილად იაროს კომუნიზმისაკენ!

„პრავდა“-ს მოწინავე 31/1 1937.

ძვირფასო ამხანაგო ლავკინტი!

უსაზღვრო აღშფოთების გრძობამ მოიცვა საქართველოს საბჭოთა მწერლების მთელი კოლექტივი, საბჭოთა სასამართლოს წინაშე გაშიშვლებულად წარმდგარი ფაშიზმის სისხლიანი აგენტების, გაცოფებული ბანდიტების და დივერსანტების უსაზიზღრეს მოღალატურ ბოროტმოქმედებათა გამო.

ჩვენი დიდი სამშობლოს გამირმა ხალხმა, ლენინ-სტალინის პარტიის მეთაურობით, მთელი მშრომელი კაცობრიობის უსაყვარლესი მასწავლებლის და გენიალური ბელადის დიდი, სტალინის წინამძღოლობით ააგო სოციალიზმის გიგანტური შენობა — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო.

საბჭოთა ქვეყნის თვალუწვდენ მიწა-წყალზე ხორცშესხმულ რეალობად იქცა სოციალისტური დემოკრატიზმი, შრომის სუფევის, პიროვნების თავისუფლების და ეროვნებათა თანასწორობის უმაღლესი იდეალები. სოციალისტური ინდუსტრიის გიგანტებში და ვრცელ საკოლმეურნეო მინდვრებში გაშლილმა სახელისა და გამირობის საქმედ ქცეულმა, შრომამ საბჭოთა ხალხს საბოლოოდ დაუმკვიდრა ბედნიერი ცხოვრება.

ხალხთა სტალინური მეგობრობის მზის ცხოველმყოფელ სხივებზე აყვავდა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ ჩვენს სამშობლოში მცხოვრებ ყველა ხალხთანაციონალური კულტურა, მწერლობა — ხელოვნება.

საბჭოთა ხალხმა გამოსჭედა სოციალისტური დემოკრატიის უკვდავი ხარტია — დიადი სტალინური კონსტიტუცია, რომლის ყოველ სიტყვაში მთელი სიღრმით არის აღბეჭდილი ჩვენი სამშობლოს ძლევაგამოსილება, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება.

უსაზღვროა ბედნიერი და უძლეველი საბჭოთა ხალხის სიყვარული და ერთგულება დიდი სტალინისადმი, რომელმაც გენიალური ხუროთმოძღვარის ოსტატობით ააშენა სოციალიზმის მიუვალი ციხე-სიმაგრე, მას მტკიცე და შეუწყვეელი ნაბიჯით მიჰყავს საბჭოეთის დიდი ქვეყანა კომუნიზმისაკენ.

სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის ძლევაგამოსილებით გაცოფებული, ხალხისაგან უსაზღვროდ შეზიზღებული და განკიცხული იუდა ტროცკის კონტრევოლუციური ზროვა, დაადგა სისხლიანი ტერორის, ჯაშუშობის, მანებლობის და ღალატის უსაზიზღრეს გზას.

ტროცკი — ვესტაპოს ავანაჟური აგენტურა თავისი შავხევის განსახორციელებლად არ ერიდება არავითარ ბოროტმოქმედებას. ისინი ღვრიან მუშებისა და კოლმეურნეთა სისხლს, ისინი მზად არიან მიჰყიდონ ჩვენი ბედნიერი სამშობლოს მიწა-წყალი კაპიტალისტურ სახელმწიფოებს და თავიანთი სისხლიანი ხელები აღმართონ ჩვენი ხალხის უსაყვარლესი ბელადისა და მის თანამებრძოლთა წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხის ერთსულოვანმა რისხვამ გააცამტვერა ზინოვიევი-კამენევის ბანდა, რომელმაც მუხანათურად მოუკლა საბჭოთა ხალხს საუკეთესო შვილი — პროლეტარული რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი სერგეი კიროვი.

დღეს კი საბჭოთა ხალხის სამსჯავროს წინაშე წარმდგარია უვერაგეს ბოროტმოქმედებაზე დაჭერილი სისხლიანი დივერსანტებისა და მავნებლების, კაპიტალიზმის რესტავრატორების ხროვა — პიატაკოვის, რადეკის, სერებრიაკოვის, სოკოლნიკოვის და სხვათა სახით.

უსაზღვროა მათი დანაშაული საბჭოთა ხალხის, ჩვენი დიდი სამშობლოს წინაშე და ასევე უსაზღვროა ჩვენი ხალხის რისხვა, ზიზი მათ მიმართ.

პროცესის მასალებიდან ჩვენ გავიგეთ, რომ ხალხის მტრებსა და ჯალათების ამ გარეწართა ხროვაში აქტიური მონაწილეობა მიუღიათ ტროცკისტ-ზინოვიეველთა ქართველ ნაძირალებსაც, ხალხის მოსისხლე მტრისა და გაუსწორებელი კონტრრევოლუციონერი ტროცკისტის ბუღუ მდივანის მეთაურობით.

ხალხისადმი მტრობით გაბოროტებულ ადამიანთა ეს გახარწნილი ბანდა ცდილობდა სასიკვდილო მახვილზე აღემაართა ჩვენი ბედნიერი ცხოვრების შემოქმედის — დიდი სტალინის და მის თანამებრძოლთა წინააღმდეგ, და მათ შორის ისინი სასიკვდილოდ გიმიზნებდნენ თქვენც, ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის სახელოვან ხელმძღვანელს, დიდი სტალინის უერთგულეს და გამობრძმედილ მოწაფეს, ქართული საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების დაუღალავ მოამბეს.

ხუთ წელიწადზე მეტია, რაც თქვენ, ამხანაგო ლავრენტი, სათავეში ჩაუდექით საქართველოს ბოლშევიკებთან მებრძოლ შტაბს და ეს ხუთი წელი წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკის უდიდეს ისტორიულ წარმატებათა და გამარჯვებათა ბრწყინვალე პერიოდს — სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

დიდი სტალინის მითითებათა ურყევი განხორციელებით, საქართველოს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების საქმიანობაში მუშაობის სტალინური სტილის დანერგვით, ფართო ბოლშევიკური ინიციატივით და დაუშრეტელი შემოქმედებით ენერგიით, თქვენ კომუნისმისათვის სუბრძოლველად დარაზმეთ საქართველოს პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა არმია და ჩვენი რესპუბლიკა გამოიყვანეთ საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკათა პირველ რიგში.

თქვენ სახელთან, ამხანაგო ლავრენტი, მკიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს მშრომელი ხალხის ყველა ის სამეურნეო და კულტურული წარმატებანი, რომელთა მეოხებითაც ჩვენმა რესპუბლიკამ დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

თქვენი შეუწელებელი ყურადღებისა და მხრუნველობის მეოხებით უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ქართულმა მწერლობამ და ხელოვნებამ უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია.

არასოდეს ქართულ მწერლობას, თეატრს, მხატვრობას და მუსიკალურ ხელოვნებას არ ჰქონია ისე ფართო რეზონანსი, არ უსარგებლია ისეთი დიდი პოპულარობით. საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიან მასებში, როგორც დღეს.

აი, რატომ ამაცობს საქართველოს მუშათა კლასი, მისი საკოლმეურნეო გლეხობა და მშრომელი ინტელიგენცია ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის გამობრძმედილი ხელმძღვანელის სახელით. აი რატომ არის აღესილი ყოველი პატიოსანი მშრომელის გული შენდამი მაღლობის და სიყვარულის მგზნებარე გრძნობით.

უმწეოა გველური გესლით გაქლენთილი კონტრრევოლუციური არამზადების მუხანათური განზრახვა ხელი აღმართონ თავისუფალ და ბედნიერ საბჭოთა ხალხის უსაყვარელესი ბელადის და მის სახელოვან თანამებრძოლთა წინააღმდეგ, რამელთა რკინის კოგორტაშიც დამსახურებულად სდგებართ თქვენ, ამხანაგო ლავრენტი.

საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ხალხთა დიდი ბელადისა და მისი სახელოვანი თანამებრძოლებისადმი არის რკინის კედელი, რომელსაც ვერ გასჭრის ვერავითარი მტრის ტყვია და რომელზედაც განმანადგურებლად დაიმხვრევა ტროცკი — გესტაპოს სისხლიანი აგენტების შავბნელი ზრახვები.

ჩვენ საქართველოს საბჭოთა მწერლები სიტყვას გაძლევთ, ამხანაგო ლავრენტი, რომ კიდევ უფრო გავაძლიერებთ რევოლუციურ სიფხიზლეს, კიდევ უფრო მეტად შევმჭიდროვდებით ლენინ-სტალინის დიადი დროშის ქვეშ და მთელს ნიჰსა და ენერგიას, მთელს ჩვენს სიცოცხლეს დაუღალავად მოვახმართ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს აყვავების საქმეს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა მართლმსაჯულების მახვილთვალს ვერ დაემალება ხალხის ვერც ერთი მოღალატე — ქვეწარმავალი.

ჩვენ მოვითხოვთ აღივაოს პირისაგან დედამიწისა ჩვენი სამშობლოს მოღალატეთა ბანდის ყოველი მონაწილე.

წყევლა და ზიზლი მათს სისხლით შესვრილ სახელს!

გაუმარჯოს სოციალიზმის ძლევა მოსილების ორგანიზატორს, ხალხთა უსაყვარლეს ბელადს, მასწავლებელს, დიად სტალინს!

გაუმარჯოს გამობრძმედილ სტალინელს — ქართველი ხალხის სახელოვან ხელმძღვანელს ამხ. ლავრენტი ბერიას!

საქართველოს საბჭოთა მწერლების

კავშირის პ რ ე ზ ი ღ ი უ მ ი.

მხატვრული დიკცია

ა. კუშკინი



ვნახე სიკვდილი: ჩემს კარებზე ის მღუმარებით
ჩამოჯდა შშვიდად, მომეჩვენა და ისევ გაჰქრა;
მე ვნახე კუბო, ჩაბნელებულ, ღია კარებით,
გაფრინდა სული, სიცივემ დაჰქრა...

მე ტკბილს მეგობრებს დავტოვე მალე
და ჩემი მწარე სიცოცხლის კვალი
დაემსგავსება ლანდის გაპარვას;
ჩემი თვალების მწუხარე მზერაც
უკვდავების შუქს ვერ ნახავს, ვერა,
და ჭაბუკ გულის იღუმალ ჟღერას
არარაობის ბინდი დაჰფარავს.

მშვიდობით, მწარე საწუთროო, სადაც უგეშოდ
ზნელს უფსკრულებზე გზა უვალი ჩემთვის ვიდოდა;
სად მშვიდი რწმენა არ მქონია არსად წუგეშად,
მიყვარდა, მაგრამ სიყვარული რისთვის მინდოდა!

მშვიდობით, დიდო დღის მნათობო და ცაზე ღამის
მუნჯო წყვედიადო, დაკიდულო თაღის ნასკვებად,
ნწვანე ქედებო და ფოთოლზე შრილო ნამის,
ტყის მღუმარებაე, იღუმალად მიმწყდარო ღამის. --
მშვიდობით, მორჩა, გეტხოვებით უკანასკნელად.



ს. კუზნეცოვი


და შენც, რომელიც ჩემთვის ქვეყნად იყავი ღმერთად,
იყავ წუხილის და იღუმალ ცრემლთა საგანი,
შემინდე, გაჰქრა ყოველივე — ჩემს ცეცხლთან ერთად...
მელის სამარის ჩამქრალი და ცივი საკანი,
და ჩემს სიცოცხლეს, სიყვარულის გაფანტულ მტვერთან,
წაშლის პირშავი, შავბედიითი სიკვდილთაგანი.

და მეგობარნო, როდესაც დალლა
შემიკრავს სუნთქვას — ნახევრად სნეულს,
როდესაც გეტყვით: „მიყვარდა მართლა!..“
და მშვიდი სული დასტოვებს სხეულს,
მიღით მასთან და უთხარით: „ბედზე
გადაეფარა ბნელეთის ფარდა“...
და მაშინ მაინც იქნებ ჩემს ხვედრზე
ამოიოხროს სამარის კართან:

1816.


თარგმანი ილო მოხაშვილისა.





რისთვის ტრიალებს უფსკრულში ქარი,
მოაქვს მტვერი და მორეკავს ფოთოლს,
როცა ხომალდი, უძრავად მდგარი,
ნატრობს, რომ ქარმა ზღვა შეაშფოთოს?
რად სტოვებს მთებში არწივი ბინას,
და იგი ბარში რისთვის მიფრინავს?
ეს ჰკითხე არწივს, მიძიმედ დარწეულს,
ნაზ დეზდემონას—მშვეინებით რჩეულს—
რად უყვარს ზანგი—შავი, ზვიადი,
კით მთვარეს უყვარს ღამის წყვილიადი?
მიტომ, რომ ქალწულს, არწივს და ქარსა
არ უწეწიათ კანონი არსად.
შენც ასეთი ხარ, ლალო მგოსანო,
შენთვისაც ძალა არა აქვს კანონს.

თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვილისა





ჩაადაევისადმი

954 27

ტრობის, იმედის, მყუდრო სახელის
ცდუნებამ სიტყბო არ გვასვა ბევრი.
გაჰქრა ბავშვობის ლხენა ყოველი,
ვით კვამლი, ანუ დილის ბუერი.

მაგრამ სურვილის ცეცხლი არ ქრება:
ხელისუფლება რომ გვჩაგრავს ბნელი,
კვლავ ჩვენი სული მოუთმენელი
სამშობლოს ძახილს ეხმაურება.

ჩვენ სასოებით მუდამ მოველით
უწმიდეს წუთებს თავისუფლების,
როგორც მიჯნური ელის ყოველი
სატრფოს შეხვედრას, მომფენელს შეების.

თავისუფლებას სანამ შევხარით
და გულში ცოცხლობს პატიოსნება,
მსხვერპლად მივუძღვნათ სამშობლო მხარეს
ულამაზესი ჩვენი ოცნება.

ო, ამხანაგო! გწამდეს: სასურველს
შეამკობს დილას მზე მოკაშკაშე,
ძველი რუსეთი თვალებს გაახელს
და თვითმპყრობლობის ნანგრევზე მაშინ
ყველა ჩვენგანის აღბეჭდვენ სახელს.

თარგ. გრიგოლ ცეცხლაძისა

2. „ჩვენი თაობა“

17





გემშვიდობები, ლალო სტიქიავ!
უკანასკნელად, ლურჯი ფეხებით,
შენი ტალღები ჩემს წინ მიჰქრიან
და შენ ელვარებ ამაყ ნშვენებით..

როგორც მეგობრის დრტვინვა მწუხარე,
გამოსათხოვარ ძახილის სევდა,
ხმა ნაღვლიანი, მაგრამ მქუხარე,
უკანასკნელად მომესმა შენგან.

ხარ ჩემი სულის ზღვარი ნატრულრ:
შენს ნაპირებზე, მოწყენრლ სახით,
ხშირად ვიდოდი ნისლით ნაბური
და წამებული იღუმალ ზრახვით.

შენი ძახილი მე შევიყვარე
და ყრუ ხმაური ტალღათა შორთა,
შებინდებისას სრული სიწყნარე,
ღროგამოშვებით ნაჩვევი შფოთვა.

მეთევზეების აფრაცა წყნარი
შენს მშვიდ მორევში მედგრად მიარღვევს
გაშლილ ზედაპირს ქაფიან არის:
მაგრამ აღმართავ უძღვევლ ტალღებს,
და ილუპება ხომალდთა ჯარი.

ვერ მოვახერხებ. რომ სამუდამოდ
დამეგდო მხარე ნაღველთა მთოვი,
მოგსალმებოდი შენებრ ულაგმო,
და გაქიმული შენი უდაბნო
ვადამესერა პოეტურ ლტოლვით.

შენ მეძახდი... მე — ტყვე — ვობრავედი;
სული ამოდ იწე და ქარში:
ძლიერი სწრაფვით ნაბობოქ რი
ისევ ნაღველიან ნაპირზე დავრჩი.

რაზე ვიჯავრო? გეზის ამღებმა
გზა უდარდელი საით მივპართო?
შენს უდაბნოში ჩენს ყურადღებას
ერთი საგანი იზიდაეს მარტო.

ერთი კუნძული, დიდების ძეგლი...
მოგონებები დიად მეომრის
იქ შთანთქა ძიღმა, ვით ტანჯვის მსხვერპლი
იმ კლდეზე ჩაქრა ნაპოლეონი.

ის იქ დაეცა ტანჯვით ნაოსი.
შემდეგ, ვით გრგვინვა მძაფრ ქარიშხლების,
მოგვწყდა უეცრად სხვა გენოსი
და სხვა მფლობელი ჩვენი ფექრების.

თავისუფლებამ ცრელით დააღბო,
მისი გვირგვინი მსოულის კშენის.
დაიგოგუნე რისხვით, საავდროდ:
ის იყო, ზღვაო, მოსანი შენი.

მას შენი სახის აჩნდა იერი,
ის შენი სულის იყო მპყრობელი:
ვით შენ, პირქუში, მხნე და ძლიერი,
ვით შენ, მარადის დაუცხრომელი.

მიწა დაცილია... და რომელ ველად
გამიყვან, ზღვაო, რომელ მხრის პირად?
თუ კაცთა ბედი მსგავსია ყველა:
სად სიკეთეა, იქ ვხედავთ მცველად
ან განათლებას, ან კიდევ ტირანს.

მშვიდობით, ზღვაო, ზღვაო, მშვიდობით!
არ დავივიწყებ შენს სილამაზეს,
და დიდხანს, დიდხანს, საღამოობით
შენი გუგუნი ლხენით ამავესებს.

დაბურულ ტყეებს, მდუმარე ტრამალს,
მე შევუერთებ ღელვას აქაურს,
შენს ქვიშას, კლდეებს, უბეებს ლამაზს,
ჩრდილსა და ბრწყინვას, ტალღების ხმაურს.

თარგ. ა. სიჭინავასი





ბრინჯაოს მხელარი

ნაწყვეტი მეორე თავიდან.

და მის პირდაპირ საშინელ ლანდად,
ირველივე შეზღუდულ და მაღალ კლდეზე —
აპყრობილ ხელით მხედარი სჩანდა,
ამაყად მჯდარი ბრინჯაოს ცხენზე.
ევვენი შეკრთა. მას მოაგონდა
კვლავ ყველაფერი: ზვირთთა კრებული,
წარღვნის ფართობი გაათვრებული,
სადაც სტიქიას ზეიმი ჰქონდა.
იცნო ლომები, ნისლით ბურვილი,
და ის მხედარი ბრინჯაოს თავით,
რომლის უღმობელ, ამაყ სურვილით
ზღვასთან ქალაქი დაარსდა ავი.
საშინელია ის ამ წყევლიაღში!
შუბლზე ბეჭედი იღუმალ ფიქრის!
ნეტავ რა ძალა იმაღლის მასში,
როგორი ცეცხლით იწვის ეს რაში?

ამაყო რაშო! შენ საით მიჰქრი,
 და სად დაუშვებ ფეხებს გიჟ სვლაში?
 სასტიკი ბედის მძლავრო მულობელო,
 განა შენ ასე უფსკრულის თავზე
 რკინის აღვირით, ო, უღმობელო,
 არ დააყენე რუსეთი ყალყსა?
 და კვარცხლბეკს გულის აჭრთხიალებით.
 უღლის შეშლილი, მთლად მოცახცახე;
 ის მიაჩერდა გიჟურ თვალეებით
 ძლევემოხილი მპეროზელის სახეს,
 ისევ შეშფოთდა. თავისი შუბლით
 ცივ მოაჯირის მიეკრა ფოლადს,
 თვალნი აევსო უეცარ ღრუბლით
 და რაღაც ცეცხლმა ის აათრაოლა.
 მოაწვა სისხლი... ის დაღვა მკვახედ
 ამაყ კერპის წინ, ბრაზმორეული,
 და კბილთა ღრჭენით, ცოკუიან სახით,
 სთქვა, შეპყრობილმა ძალით გრძნეულით:
 „მაშ კარგი, ვნახოთ, აღმშენებელო!...“
 უცბად გაიქცა განაქანები:
 მას მოეჩვენა რაღაც ზმანებით,
 რომ მეფის სახე, შიშალმგზნებელი,
 მისკენ მოიქცა სწრაფ მოისხანებით.
 რბის ყრუ მოედნით საბრალო გიჟი,
 უკან ხმაური მას ესმის შიშით.
 თითქოს დამტვრეულ მეხის გრიალი-
 ცხენის თქარუნი, შორით შოენილი,
 და უპასუხებს მძიმე ზოილით
 ამბოხებული მას ქვაკენილი.
 განათებული ფერწასულ ძივარით,
 ხელით, აწვდილით მალლა ზეკაში,
 იმას ბრინჯაოს მოსდეკა მხედარი
 გამოჭენებულ და მტრგვინავ რაშით.

თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვილისა.





ა. კუზკინი ლიციში.

ბახისხარაის მარევანი

იჯდა გირეი ზაფიქრებული,
 და მის ბაგეში ქარვა ბოლავდა.
 ფლიდ კარისკაცთა ჩუმი კრებული
 ხატს უსასტიკესს შემორგოლავდა.
 ირგვლივ ხმაური შეწყვეტილიყო,
 და შენიშნავდა ყოველი თვალი,
 რომ რისხვისა და ნალველის კვალი
 პირქუშ სახეზე აღბეჭდილიყო.
 მაგრამ მან მზერა აღმართა ცხელი
 და შეაქნია ერთბაშად ხელი.
 მყის დაიცალა დარბაზი ფართო,
 და სასახლეში დარჩა ის მარტო.
 მკერდს უმოძრავებს სუნთქვა გვიანი,
 შუბლი ცოცხალი და რისხვიანი
 აღბეჭდავს გულის მღელვარე ტკენას,
 ვით საქარიშხლო ღრუბლების დენას
 ზღვის ზედაპირი ნელქავლიანი.

გული საგულეს რად არ ეტევა?
 ფიქრი რაგვარი აღეღვებს ნეტა?
 ეგებ რუსეთზე უნდა შეტევა,
 ან განიზრახა პოლონელთ ქლევთა?
 შურისძიებით შეფითრდა სახე,
 თუ შეთქმულება გაიხსნა ჯარში?
 თარეშს ლაშობენ მთიულნი ბარში?
 თარსმა გენუამ გაშალა მახე?
 არა, მოსწყინდა სარდლის დიდება,
 დაქანცულია მრისხანე ხელი,

ომს და ლაშქრობას არ ეჭიდება
ახლა იმისი ფიქრები მწველი.
ეგებ მონახა ლალატა ფრთხილმა
ჰარამხანაში ბილიკი შავი:
განცხრომისა და ტყვეობის შვილმა
ხომ არ მიანდო ურჯულოს თავი?

არა, ცოლნი მას ხშირად ხედავენ,
სხვებზე ფიქრსაც კი ვერა ჰხედავენ,
განცალკევებით ჰყვავიან წყნარად;
ჰყავთ დარაჯები მეტად ფრთხილები:
გულმოშიშნი და მოწყენილები
მისნი ერთგულნი არიან მარად.
მათი სიტუფას და შეკენებისთვის
გარდუვალთა ტყვეობის ბინა
ვით არაბეთის ყვავილებისთვის
კარგად დაცული სათბურის მინა.

ცხოვრება მათი მეტად მშვიდია
დი მსუბუქია სევდა ფარული.
წელიწადებთან ერთად მიდიან
ახალგაზრდობა და სიყვარული.
ჰგვანან დღეები ერთმანეთს ყველა,
ფრიად ნელია მათი დინება.
იქ სიზანტეა წესრიგის მცველად,
და იშვიათად სულს ელხინება.
ნორჩმა ცოლებმა ჰარამხანაში,
რომ განიქარვონ ჰმუნვა გულისა,
იციან ხოლმე ცეკვა-თამაში
და ცვლა მალიმალ სამკაულისა;
ხან მოჩხრიალე ნაკადულები
ატკობენ იმათ ცოცხალის ხმებით,
როცა ნაპირზე ჩამოშლილ თმებით
მივლენ ხელი-ხელს გადაბმულები.
დადის ევნუქი იმათის კვალით;
არვის მოუტანს გაქცევა შველას:
დაეჭვებულის ყურით და თვალით
ის აკვირდება ყოველთვის ყველას.
მის მეოხებით წესრიგი მყარი
დადგენილია და ხანის ნება
არის იმისთვის კანონის დარი;
იგი უკქერის, დარაჯად მდგარი,

რომ აღასრულონ ყურანის მცნება;
სიყვარულისთვის გული აქვს ქვისა;
იტანს უსიტყვოდ კერპივით ისა
ძულვას, დაცინვას, მწარე ყვედრებას,
ხოლო ოხვრას და ხვეწნა-ვედრებას
იგი მოისმენს ცივად და მქისად.
შეუსწავლია ზნე მას ქალისა,
მარად ამრევი კაცთა კვალისა
ტყვეობაში თუ ახატობაში.
ნაზი შეხედვა, ცრემლების დენა
პასუხს ვერ ჰპოებს იმის გრძნობაში,
დაკარგული აქვს მათდამი რწმენა.

მსუბუქი თმების მხარ-ბეჭზე ფენით
როცა სიცხეში ნარნარნი ტყვენი
გასაბანებლად მიდიან წყნარად,
და განსჭვირვალე ცივი ზვირთები
დამძიმებიან ბროლის ტვირთებით, —
მათი გართობის დარაჯი მარად,
იქ არის იგი; გულგრილად ხედავს
ტანშიშველების მშვენებერ ჯარსა.
რომ დაღამდება, ძილს ვერა ჰბედავს,
ათვალიერებს გარემოს წყნარსა
და ხმამიმკვდარი ღბილ ხალიჩებით
უახლოვდება ფრთხილ ნაბიჯებით
მისაყურებლად თვითეულ კარსა.
უნდა დახვეროს მან საწოლები,
სადაც ბრწყინვალე ხანის ცოლები
თვალის წარმტაცად ძილს ნებდებიან.
დადის მათ შორის ღამის მთეველი.
გაიღიმებენ, თუ შეკრთებიან,
ან თუ კვნესანი აღმოხდებიან —
მას არ დარჩება შეუმჩნეველი.
და ვაი იმას, ბედკრულად შობილს,
ვისაც სახელი წამოცდა სხვისი,
ვინც გაუმხილა საყვარელ დობილს
ცოდვით აღსავეს ზრახვები თვისი!

მაშ რამ დაჰკოდა გირეის გული?
ხელში ჩიბუხი გასცივებია.
კართან იგნუქი ხესავით რგული,
მას მოკრძალებით მისჩერებია.

ადგა ბატონი ჩაფიქრებული,
გაიღო კარი იმის წინაშე,
და მიდის იგი, ცოლთა კრებული
რომ ინახულოს ძვირფას ბინაში.

მომლოდინეებს მაღალ ხანისა
ცივი აუზი შადრევანისა
გამოემწყედიათ ბრწყინვალე რკალში.
მათგან შორს იყო ზრუნვა სრულებით,
და ბავშვებივით მხიარულები
აკვირდებოდნენ, თევისი რომ წყალში
ჩნდებოდა ფსკერის მარმარა ფერზე.
ზოგი საყურეს ისროდა ფსკერზე.
ამ დროს შარბათი სურნელოვანი
მხეველებს მოჰქონდათ მათ წინ ცქრიალით
უცებ სიმღერა იშვა წკრიალით
ამოდ სასმენი და ტკბილხმოვანი:

თათრული სიმღერა

1

«ზეცა, იმედის გამომსახველი,
უსპობს მორწმუნეს ცრექლსა და შხაჰსა
ბედნიერია მექის მნახველი
წყნარი ფაკირი სიბერის ჟამსა.

2

«ბედნიერია ომში წასული,
თუ დაეცემა დუნაის კიდეს:
მის წინ ედემის ტურფა ასული
უნდა ღიმილით მკლავებსა შლიდეს.

3

«მაგრამ ყველაზე ბედნიერია
და უსაზღვროა იმისი ღხენა,
ვისაც, ზარემავ, როგორც ფერია,
ჰარამხანაში უზიხარ შენა.»

ასე მღერიან. მაგრამ ზარემა
სად არის ახლა—ვარსკვლავი ტრფობის?
ვაკლავ, ფერმკრთალმან და მწუხარემან.
არ მოისმინა სიმღერა მკობის.
აღვას შეტევამ ქარიშხალისმა
ზედ დააჩინა სასტიკი წყლული,
სრულად დასტოვა ქალი ხალისმა,
როცა დაჰკარგა გირეის გული.
მაშ გიღალატა! მაგრამ ვინ არი,
რომ შეგედაროს შენ—ქართველ ქალსა?
ეგ შენი შუბლი შუქთა მფინარი
დაიჩნევს ორი ნაწნავის კვალსა.
შენი თვალები—ცეცხლია მწველი,
დღეზე ნათელი, ღამეზე ბნელი.
ხმა სხვას ვისა აქვს გულში მწვდომელი,
რომ გამოხატოს მხურვალე ვენება?
ბაგე დადნება კოცნით რომელი
ისე, ვით შენი ტუჩები დნება?
სული ვით შეხვდეს მეორეს ღხენით,
თუ კი იქნება გავსილი წენით?
მაგრამ, გულგრილმან და ავმან ავზე,
დასთმო გირიემ შენი შევენება,
და ღამეებმა იწყეს თინება
ძიღვამტეხელის ჩაქინდრულ თავზე,
როს პოლონელი თავადის ქალი
მან შემოზღუდა კედლების რკალით.

მხოლოდ ამ ხანად ნორჩი მარია
გახდა მნახველი უცხოელთ ცისა,
და ახლა თითქოს ცრუ სიზმარია,
რღმ სამშობლოში ჰყვავოდა ისა.
ხნიერი მამა, ამაყი მისით,
მასზე ფიქრობდა ღამით და დღისით.
მოხუცისათვის კანონსა ჰგვანდა
შვილის ბავშური ნება-სურვილი,
მას ერთად-ერთი ჰქონდა წყურვილი,
და მის წინ ერთი მიზანი სჩანდა,—
რომ ყოფილიყო იგი მნახველი
ძვირფას ასულის ხვედრის ტკბილისა,
რომ არ შეჰყროდა ქალწულს ნაღველი,
არ განეცადა წვა სახმილისა,
რომ გათხოვილსაც მოჰკონებოდა,

გულის ძგერით და საამო ლხენით
ქალიშვილური გართობის დღენი.
დობილთა შორის რომ ჩადგებოდა.
მასში უბადლო სჩანდა ყოველი:
ქცევა, მიმოსვლა, სახის იერი,
ლურჯი თვალები სხივთა მთოველი
და ხასიათი ტკბილ მშვენნიერი.
მადლს ბუნებისგან მინიჭებულსა
ის ხელოვნებით ამკობდა წყნარით:
ხშირად აღხენდა თილისპურ ქნარით
იგი ნადიმზე სტუმართ კრებულსა.
თავადების და მდიდრების ტევრი
გულით ეძებდა მარიას ხელსა,
და იმის გამო ოცნებას ცხელსა
ოხვრას ატანდა ჭაბუკი ბევრი.
მაგრამ ჯერ კიდევ სული მძინარი
არ ანთებოდა ტრფიალის ალით.
მარად ნათელი და მოცინარი,
იგი მეგობრებს მხიბლავის ძალით
მიიზიდავდა თავის ბინაზე,
და მათ გართობას აჩნდა სინაზე.

შემდეგ? თათრების ურიცხვი ჯარი
ეცა პოლონეთს იმნაირ დენით,
ვით მწიფე ყანას წითელის ენით
წალოკავს ხოლმე ხანძარი ჩქარი.
მყის დამახინჯდა უმკაცრეს ომით
აყვავებული ბრწყინვალე მხარე,
ლხინს გადაესხა ნალველი მწარე
და დაადუმა ჴრისხანე წყრომით
ცამ ტყე-ველი და სოფლები მშვიდი.
დაცალიერდა სასახლე დიდი,
და ის ოთახიც მთლად მიმკვდარია,
რომელსაც ჰფლობდა ტურფა მარია.
სად წინაპართა ნაშთი დაცულა
კარის ტაძარში მყუდრო ბინითა,
ახლა ახალი ქვა აღმართულა
თავადის ღერბით და გვირგვინითა.
სამარე მაძას, ტყვეობა ქალსა;
ძუნწი მემკვიდრე ჰმართავს მამულსა,
და, გაძარცულს და ცრემლით ნამულსა,
აკისრებს მხარეს უმძიმეს ვალსა.

ვაგლახ, სასახლე ბახჩისარაინ
თავადის ლამაზ ასულსა ჰფარავს,
შავი ბედის წინ დაიხარა ის,
ჩუმი ტყვეობა აჰკნობს და ჰზარავს.
ჰგოდნობს სიბრაღულსა გირეის გული.
მისი მოწყენით, ტირილით, კვნესით
ირღვევა ხანის ხანმოკლე რული.
ჰარამხანაში სასტიკი წესი
შეღბილდა მაღალ განკარგულებით.
მარიასათვის: მასთან სრულებით
ფეხს ვერ შეადგამს ევენუქი მქისი,
ვერ გადახედავს მკაცრია თვალებით,
არც შეუძლიან მას მოკრძალებით
საძინებელზე აყვანა მისი.
განსაბანელი ცალკე აქვს წყალი,
და ახლავს იმას იქ ერთი ქალი.
ხანს თვით ემჩნევა კრძალვა-რიდობა—
არ სურს წაართვას მწარე მშვიდობა.
მას ჰარამხანის ერთ ყრუ მხარეში
ცალკე ცხოვრების მიეცა ნება,
და ეწირება მკვდარ სიწყნარეში
არამიწიერს იმისი გზნება.
იქ დღედაღამე სანთელი დნება
წინაშე წმინდა ღვთისმშობელისა.
გულში იმედებს უღვიძებს რწმენა
და აღვილდება მის გამო თმენა
იქ მისი სევდის და ნაღველისა.
მას ყველაფერი უკვე აგონებს
მხარეს, რომელიც გულს არ აღონებს...
განშორებია ცრემლთა მთოველი
იგი მეგობართ შურიან კრებას;
მაშინ, როდესაც ირგვლივ ყოველი
ეძლევა ვიჟურ ლხინსა და შვებას,
სასწაულებრივ გადარჩენილი,
ფარულ კუთხეში ნათელფენილი
დამკვიდრებულა სიწმინდე სრული.
ასევე გზა-კვალს ამცდარი გული,
ბილწ განცხრომათა მსხვერპლად შთენილი,
კიდევ ინახავს ერთ ღვთიურ გოდნობას,
ვით გადარჩენის ტკბილ საწინდარსა...

დალაშქრდა; ჩრდილთა მსუბუქმა ღვარმა
დაჰფარა ტურთა თავრიდის ველი;
დაფნის შორეულ ბუჩქებში მჯდარმა
იწყობ ბულბულმა გალობა ნელი.
მთვარე მოჰყვება ვარსკვლავთ კრებულსა,
მოწმენდილ ცაზე ანათებს იგი,
და ბკერდს უშვერენ შუქს დიდებულსა
ტყე, მდინარე და გორაკთა რიგი.
ტანშებურვილნი ფერღია რიდით,
როგორც ლანდები, კრძალვით და რიდით
მივლენ მდაბიო თათართა ცოლნი
ბახჩისარაის ჩუმი ქუჩებით,
რომ ინახულონ თავისნი ტოლნი
და დრო ატარონ თავშექუჩებით.
დადუმებულა სასახლე: ძილი
აქვს ჰარამხანას ტკბილ-სიამისა;
ღრმა მდუმარება წყნარი ღამისა
არსად ირღვევა; ევენუქი ფრთხილი,
როცა საწოლთა მოვლა მოლია
და შეაჩვენა ქალების ჯიში,
თვითონაც დაწვა. მაგრამ მას შიში
მძინარესაც კი შემოსწოლია.
მოსალოდნელი ღალატის შხამი
მას ძილს უწამლავს და მოსვენებას.
მოესმის თითქოს ჩურჩული, ჩქამი,
და მოსიზმრებულს უფრთხის ჩვენებას.
მცდარ ყურთასმენით მოტყუებული
გამოიღვიძებს ათრთოლებული;
საწყალს ამაოდ უწყდება რული —
სუფევს გარშემო სიჩუმე სრული.
მხოლოდ შადრევანთ წყებანი სცემენ
ცივ მარმარილოს ვიწრო ხვრელებით
და სიბნელეში ბულბულნი სტვენენ,
ძვირფას ვარდებთან განუყრელები.
ყურს უგდებს იმათ ენუქი ფრთხილი,
შემდეგ მას ისევ შეიპყრობს ძილი.

ვით იშლებიან რიდენი ლბილად
აღმოსავლეთურ ღამეებისა!
წიმღინარებენ რაოდენ ტკბილად
ღღენი მაჰმადის მიმღვერებისა!

აღნიშნულია განცხრომას დალით
მათი სახლები, იმათი ბაღი,
პარამხანები ხშილ კარებითა,
სადაც ტყვექნილი ჯადოსნურ მთეარით
სუნთქავს ყოველი დუმილით წყნაოით
და ტკბილკნებთან შთაგონებითა!

.....

ჩაძინებულან ცოლები ყველა.
ერთს არა სძინავს; ის დგება ნელა.
მიდის, და კარებს უთმენის ხელით
გააღებს იგი; მოცული ბნელით
მიიპარება წინ, უჩინარი...
იქვე ევზუქი ნახა ძინარი.
მიშნეულია მოხუცის რული,
და უღმობელი აქვს იმას გული:
ცბიეობს, როცა სჩანს უწყინარი!
ქალი, გაუსხლტა ისე, ვით სული.

.....

მის წინ კარია; და სუნთქვა ცხელი
შეეკრა ქალსა. მთრთოლვარე ხელი
ნელა შეეხო გასაღებს ცივსა...
შევიდა, ირგვლივ მოაგლო მზერა,
და შიშით გულმან დაუწყო ძგერა.
ხედავს იქ სანთლის გაცრეცილ სხივსა
და განათებულს ოდნავ საბატეს;
იქ ღვთისმშობელი მოსჩანდა წყნარი
და სიყვარულის სიმბოლო—ჯვარი...
თითქოს ზეწარი რაღაც ახადეს,
ქართველო ქალო, შენს მძინარ სულსა,
თითქოს მოგესმა ხმა მშობლიური,
თითქოს ისარი მოხვდა მზიური
გადავიწყებულ უჩინარ წყლულსა.
იწვა იმის წინ თავადის ქალი,
და ქალწულებრივ თბილის ძილითა
ასწითლებოდა ლაწვები მკრთალი.
ზედვე უჩანდა ცრემლების კვალი
გასხივოსნებულს წყნარ ღიმილითა:

ასევე ყვავილს, დატვირთულს ნაბით,
ააფერადებს მთოვარე ღამით.

თითქოს ძილისთვის მოსულა ფრენით
ედემის შვილი ტურფა ტანისა,
და მძინარეს აქ ცრემლების დენით
ტყვე უგლოვია ჰარამხანისა...

ვაგლახ, ხარემა, რა გემართება!
ულულს ნაღველი მკერდქვეშ მალული,
მუხლის თავებზე კენესით ვარდება
და სთხოვს: „მადირსე აწ სიბრალული,
მუდარა ჩემი ისმინე, გვედრი!“

ოხვრა, მიმოხვრა, სიტყვები მკვეთრი
კმაროდა — ქალწულს დაერღვა რული.
შეხედა უცნობს, შეუკრთა გული:

ქალაა ნორჩი დაჩოქებული,
რომ არ უნახავს მარიას დღემდე,
მოჰკიდა ხელი ათრთოლებული,
წამოაყენა და უფხრა შემდეგ:

„ვინა ხარ? რა გსუს? ვის ეძებ ღამით?“

— შენთან მუდარით მოგსულვარ წამით:

გადამარჩინე, იწამე ღმერთი,
მე დამრჩენია იმედი ერთი...

ლხინის მნახველი ვიყავ სრულისა
და არ ვიცოდი ზრუნვა და შური.
გაჰქრა ლანდიც კი სიხარულისა,
დაღუპული ვარ. დამიგდე ყური.

შორს არის ჩემი მშობელი მხარე,
შორს... მაგრამ დღენი, რაც გამივლია,
რომელთა გამო ცრემლიცა ვღვარე,
ხსოვნაში კიდევ ჩარჩენილია.

მახსოვან მთანი ცად აწვდილები,
ნაკადულები ქაფიან დენით,

გაუვალ ტყეთა შავი ჩრდილები,
სხვა კანონები, სხვაგვარნი ზნენი.

მაგრამ არ ვიცი, სამშობლო ჩემი

რა ავი ბედის გამო დავტოვე.

მახსოვს მე მხოლოდ ზღვის სიფართოვე,

თეატრად გაშლილი იალქნის თხემი

და ზედ ასული ადამიანი...

შემდეგ მწუხარე და ნაღვლიანი

ადარ ვყოფილვარ დღემდე სრულებით.

აქ, ჰარამხანის წიაღში, წყნარად
 ვყავოდი უცხო ყვავილის დარად,
 ხოლო სურვილნი, ღრმად ფარულები,
 გულში გამშლოდნენ ცეცხლოვან ღვარად.
 ბოლოს აღსრულდა მხურვალე ნატვრა,
 ოდეს გირეიმ დასთმო ბრძოლები,
 მოინახულა თავის ცოლები
 და უდარდელი სიამით დათვრა.
 ჩვენ წარუდგეტო წინაშე ხანსა
 წყნარ მოლოდინში. მზერა მზიანი
 ჩემსას შეეხო სახეს და ტანსა,
 და მიმიწვია მე იღბლიანი...
 შემდეგ ამისა, თრობილნი ვნებით,
 ჯსტკებოდიოთ მარად უშრეტის გზნებით,
 და არც შური და ცილისწამება,
 არც გესლიანი ეჭვით წამება,
 არც უსიცოცხლო მოწყენის ჩენა
 აღარ ვიცოდით სრულიად ჩენა.
 ახლა უკნ გაჩნდი მის წინ, მარია...
 ახ, ამის შემდეგ გირეის გული
 სულ გაბზარული და მწუხარია!
 განზრახული აქვს ღალატე კრული,
 ჩემგან სრულიად არღა უნდა-რა—
 ჩემი ოხვრა და ხვეწნა-მუდარა
 უკიდურესად აბეზრებს თავსა.
 არც გაღიმება გრძნობით ნაფერი,
 აღარც სათქმელი აღარაფერი
 ჩემთვის არა აქვს, გამწყრალს და ავსა-
 შენ დამნაშავე არ ხარ ამაში,
 ვიცი, არ არის ეს შენი ბრალი...
 მაგრამ მისძინე: ჰარამხანაში
 შენ ერთადერთი მოსჩანხარ ქალი,
 სიტურფეში რომ შემებრძოლები,
 რასაც ვერ იქვენ აქ სხვა ცოლები.
 მაგრამ ტრფობისთვის ვარ მე შობილი,
 შენ კი გაკლია ცეცხლი და სხივი,
 და, თუ შევნება შენია ცივი,
 ის რადღა იყოს გულდადნობილი?
 დამითმე ხანი: ჩემია ისა,
 მისთა ამბოროთა მაჩნიან კვალნი;
 ფიცით შემკვრია წინაშე ღვთისა,
 უმოწმებია ციურნი ძალნი,

ჩვენი ფიქრები, ჩვენი გულები
 ერთად არიან შეკინძულები;
 მე გამათავებს ღალატი მისი...
 ვტირი, და — აჰა, შენს გვერდით, ქალსა,
 მომიდრეკია მუხლები თვისი,
 გემუდარები, არა გდებ ბრალსა,
 ისევ აღმინთე სულში კანდელი,
 კვლავ დაუბრუნე სინათლე თვალსა —
 მომეც გირეი მე წინანდელი...
 ძალაც მოგესჯოს უარის თქმისა!
 იმისი ტული ჩემი გულია,
 მაგრამ შენს მიერ მოხიბლულია.
 ლანძღე, აგინე, მოექეც მქისად,
 ან დაანახე ზიზღი თვალებით,
 ან სხვა რაიმე საშუალებით
 ჩამოიშორე თავიდან ისა.
 ახსენე ფიცით განგება ცისა...
 ყურანისადმი ღრმა სასოებამ
 მომისპო ძველი სარწმუნოება
 (განაჩენია ესეც ბედისა);
 მაგრამ მახსოვან ბავშვობის დღენი:
 იყო იგივე, რაც არის შენი,
 სარწმუნოება ჩემის დედისა...
 იფიცე იგი, იტვირთე ვალად,
 რომ დამიბრუნებ გირეის კვალად.
 ხოლო თუ ხვეწნა არ გეკარება,
 მაშინ, იცოდე, გულგაპობილი...
 მარჯვედ მჩვევია ხანჯლის ხმარება,
 კავკასიონთან ვარ მე შობილი.“

სთქვა ეს და მყისვე წავიდა მალი.
 უფროთხის გაყოლას თავადის ქალი.
 უბინო ქალწულს არ ესმის ენა
 ვნების, ესოდენ მოშხამულისა,
 და მაინც გულმა დაუწყო ტკენა —
 იგრძნო იდუმალ ეჭვი და წყენა
 გააფთრებული სიყვარულისა.
 ძალუძს ხვეწნას და ცრემლა დენასა
 გადაარჩინოს ის შეოცხვენასა?
 წინ რა მოელის? რა მძიმე თასად
 უნდა იყიდოს ნაღველის მჩენი

ახალგაზრდობის დანაშთნი დღენი?
გადიქცეს უნდა უბადრუკ ხასად?
ნეტამც იქმოდეს ღმერთი კეთილი,
რომ დაივიწყოს გირეიმ იგი
ცალკე საკანში გამოკეტილი,
ან უფერული დღეების რიგი
იყოს წაშლილი დი შეწყვეტილი.
რა რიგად სურდა, ტანჯვაში მყოფელს
გაშორებოდა მოსაწყენ სოფელს!
მისთვის ძვირფასი ჟამი სრულიად
დიდხანია გალეულია.
რალას მოუტანს ქვეყანა მწირი?
უკვე დროც არის—ელოდებიან,
და მას იქ, სადაც უცხოა ჭირი,
ნათელ ღიმილით წინ შეხვდებიან.

განვლეს დღეებმა; გაჰქრა მარია.
მსწრაფლ განუტევა ობოლმა სული,
ნახა სამყარო შეენებით სრული,
ანგელოზებში თავი გარია.
რამან დაუვო სიკვდილის მახე?
გულისტკივილით. სავსე ტყვეობამ,
მძიმე სენმა, თუ სხვა უმწეობამ:
ვინ იცის? გაჰქრა სპეტაკი სახე.
დარჩა სასახლე დახშულ კართა.—
მოსწყდა გირეი, კვლავ თავის ბუდეს;
იგი მრისხანე თათრის ჯართა
ისევ მიაწყდა უცხოელთ ზღუდეს.
ბრძოლის ქარცეცხლში შეჭრილა კვალად
ხანი მკაჯრი და სისხლის მსურველი,
მაგრამ სხვა გრძნობა, ვით საბურველი,
შემოსდებია იმის გულს ალად.
ხშირად მომხდარა—მტერს შეყრული
შესდგება იგი შემართულ ხმალით,
ვარს იმზირება აზრდაბნეული,
თითქოს დამფრთხალი ურჯულოს ძალით,
წაიბუტბუტებს რალაცას წყნარად
და დაიცლება ცრემლების ღვარად.

დავიწყებული და მიგდებული
მას ჰარამხანა ველარა ხედავს,
კვლავ საჭურისი კარებსა ჰკეტავს,
თუმცა ხუცდება ცოლთა კრებული,
დიდიხანია — შეამჩნევს თვალი —
არ სჩანს მათ შორის ქართველი ქბლი:
მუხჯთა დარაჯთა შეჰბორკეს ისა
და უაკვანეს წიალი ზღვისა.
ლამით, როდესაც მოკვდა მარია,
დახსნა წამებას იმანაც თავი,
დანაშაული თუ იყო ავი,
სასჯელი უფრო შესაზარია!

მოსრა თუ არა ხმლითა და დანით
კავკასიონის ახლო მხარენი
და რუსთ სოფლების მშვიდნი არენი,
ისევ თავრიდეს დაბრუნდა ხანი,
და, ხსოვნაში რომ ჰქონოდა მარად
შესაბრალისი მარას ხვედრი,
სასახლეშივე, ქანდაკის დარად,
მან შედრევენი ააგო თეთრი.
მასზე მთვარეა მუჰამედური
და მთვარის თავზე — ნათელი ჯვარი
(ეს უსათუოდ სიმბოლო არი
ან უმეცრული, ან თავზედური).
არის წარწერა: ჟამთა სვლის ძალით
არ წარეცხილა ჯერ კიდევ წიგნი,
და ამ უცნაურ წარწერის შიგნით
მარმარილოში ჩხრიალებს წყალი, —
განუწყვეტელად იფრქვევა მძივი,
თითქოს ცვივიან ცრემლები ცივი.
ასეთივეა მშობელის გლოვა,
თუ შვილმა ომში სიკვდილი ჰპოვა:
როცა გაიგეს თქმულება ძველი,
გული ეტკინათ ქალებს მნახველებს,
და ძველი ესე, ოცნების მწველი,
ცრემლთა შედრევენად დაასახელეს.

ჩრდილოეთიდან გადმოგდებული,
ვიყავ ხანგრძლივად ლხინთა მამობელი,
და მე ვიხილე მივიწყებული
ბახჩისარაის ყრუ სამყოფელი.

ჩუმი სასახლის მღუმარებაში
მიმოვდიოდი—იქ, სადაც ხანი,
ხალხებისათვის ღეთის რისხვის მგვანი,
სთვლემდა ლხინსა და მუღმივ შებებაში,
როგორც კი ბრძოლებს თავს წაართმევდა.
ახლაც განცხრომის სურნელს აკმევდა
ხმაგაკმნედილი საწოლი, ბალი.
ისმოდა წყალთა წკრიალი ლალი,
გაფურჩქენილიყო ვარდი, ვახები,
ხოლო ყოველი კედელი, თალი
ოქროს აჩენდა ფერ-მინახებით.
ვიხილე ზღუდე წამომბობილი,
რომლის გადაღმა, ფიქრგართობილი
ოდესმე ქარვის კრიალოსნებით,
მიმოდოდნენ მანდილოსნები.
ხანთა სავანე ვნახე ცნობილი,
სადაც ბატონებს, მკაცრებს და ავებს,
დაუფლებიათ ძილი მარადი;
იქ მარმარილოს სვეტების თავებს
ჭხურავთ ჩალმები, ვით მუზარადი.
მეგონა თითქოს სვე-ბედის ნება
იხატებოდა ამ სვეტებითა.
სად გაჰქრა მკაცრი ხანების წყება,
ან ჰარამხანა სავსე შებებითა?
ირგვლივ მოწყენა და დუმილია
და ყველაფერი გამოცვლილია...
მაგრამ სხვა გრძნობა მიპყრობდა მაშინ:
ვარდთა სურნელში, შადრევანთ ხმაში
მე ვნახულობდი დავიწყებასა.
მოეცვა ჩემი ფიქრი მთლიანად
ტამოურკვეველ მღელვარებასა
და ჩემს წინაშე იქ ნაღვლიანად
ჰკრთოდა ქალწულის აჩრდილი თითქოს.

.....
მითხარით, ვისი აჩრდილი ვნახე
იქ, მეგობრებო? მარტვით, რომელი
მეჩვენებოდა ბრწყინვალე სახე,
განუყრელი და სულში მწვედომელი?
მარიას წმინდა ვიხილე სული,
თუ, წამებული ექვების წყლულით,
ყრუ ჰარამხანის ჰერთა ქვეშ მკრთალად
მიმოდოდდა ხარემა კვალად?

მახსოვს ასევე მხიბლავი მზერა
და მიწიერი სხვა სილამაზე...

ენატრულობ მუზებს და სიმშვიდეთა:
დამავიწყდება ტრფობა, სახელი,
და კვლავ გავხდები მალე მნახველი,
წყნარო სალგირო, შენთა კიდეთა!
ვეწვევი ზღვის წინ მდებარე მთებსა,
მოგონებანი გაშლიან ფრთებსა,
და კვლავ, თავრიდის ტალღათა დენით
თვალმოხიბლული, დავსტკბები ლხენით.
მხარე ჯადოსნურ სილამაზისა!
ცოცხალი არის იქ ყველაფერი:
ტყეები, მთები ლურჯად ნაფერი,
იაგუნდი და ქარვა ვაზისა,
წყნარნი არენი მიმზიდველ ხევთა.
და სიგრილენი წყალთა და ხეთა.
მგზავრს გული გრძნობით ევსება ტკბილით,
როდესაც იგი უწყინარ დილით
მთებში, ზღვის პირას, ბილიქს ხვეულსა
გაარბენინებს ცხენს შეჩვეულსა,
ხოლო მის ქვემოთ მრისხანე ძალით
ამწვანებული ასკდება წყალი
ბრგე აუ-დავის მტკიცე სხეულსა...

თარგმანი კონსტანტინე კიკინაძისა



ა. პუშკინი თბილისში

პუკინისადმი

I

შენს უკვდავ ლექსებს ქვეყანა უსმენს,
სამარადუამოდ რჩები უცვლელი;
გადაათარე ვეება რუსეთს
მღელვარე გრძნობით საესე ფურცლები.

შენ უსასტიკეს დროში შობილხარ,
ადამიანურ სულის მპყრობელი:
შენი სიცოცხლე არ დამხოვილა,
მზესავით მარად ჩაუქრობელი.

ჩოცა ქვეყანას ჰბურავდა ნისლი,
ხალხს უმღეროდი გულანთებულად:
შენი სიტყვების ელვარე ისრით
მეფის ტახტიც კი შეშფოთებულა.

საუკუნით წინ გაგიხეღია
და საუკუნე თავზე დეგხარის.
დანტესის ტყვია არ მოგხვედრია,—
მეფემ გიმიზნა გულში ლახვარი.

დღეს კაცის გული არ ისრისება,
ნისლი მის კიდეს აღარ შებურავს;
ადამიანის წმინდა ღირსება
ცის გუმბათამდე ამაღლებულა.

ვასილ ლომიძე

რუსეთს ძვლებში ჰყინავდა,
 კენისოა. ოითქოს ეძინა,
 ლექსი ნაჩუქურთმევი
 მკერდზე გადმოეფინა,
 ცრემლებივით ანკარა,
 გულის ამონაჟონი,
 გრძნობით გადმოსროლილი
 მარგალიტი ნაპოვნი.
 ჯერ ყინულზე დაგორდა,
 ყინულს რთვილი ეგონა,
 გაამტვრია ყინული,
 მიწას გადაეკონა,—
 ტოლმა ტოლი მოსძებნა,
 შვილმა თავის მშობელი
 და თვალებზე დაუშრო
 ცრემლი აუშრობელი.

ნეტარება იმ დედას,
 რომელს გამოეხარდე.
 გულში სარკმელს სტეხავდი,
 ნათელ აზრის შესაფრენს.
 ფეხზე ადგა რუსეთი,
 გადაიქცა არაკად,
 და მშობლიურ ენაზე
 შენით ილაპარაკდა.
 გრძნობა დაგუბებული,
 გულში დარდად გებადა;
 შენ პირველმა აჩქეფე
 ვერცხლის შადრევნებადა.
 ლექსი ველზე აფრინე
 მებრძოლების სახლებლად.
 თითო სიტყვა გიღირდა
 თითო გადასახლებად.

ვადიმ ჩხენკელი.





Кони мчатся по буграм,
Топчут снег глуб. кий...
Вот, в сторонке божий храм
Виден одинокий...

Вдруг метелица кругом;
Снег валяг клоками;
Черный вран, свистя крылом,
Вьется над санями;
Вещий стон гласит печаль
Кони торопливы
Чутко смотрят в темну даль,
Воздымая гривы...

Жуковский

1811 წლის დამლევეს, ჩვენთვის ღირსახსოვარ ეპოქაში, თავის მამულს ნენარადოვოში ცხოვრობდა კეთილი გაქრილა, გავრილოვიჩი რ * *. მას მთელ ოლქში სტუმართმოყვარე და გულკეთილი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი; მეზობლები წამდაუწუმ დადიოდნენ მასთან საჭმელად, სასმელად, შაურთან ბოსტონის სათამაშოდ მის ცოლთან, ზოგი კი იმისათვის, რომ ენახა მათი ასული მარია გავრილოვნა, ჩვიდმეტი წლის ტანადი, ფერმიხდილი ქალიშვილი. იგი მდიდარ საცოლედ ითვლებოდა, და ბევრს ედვა გულში მისი ცოლად შერთვა ან შვილისთვის გარიგება.

მარია გავრილოვნა ფრანგულ რომანებზე აღიზარდა, მამასადამე, შეყვარებული იყო. ამ სიყვარულის საგანს წარმოადგენდა არმიის ღარიბი პრაპორ-შჩიკი, რომელიც შევებულებაში იყო და თავის სოფელში ცხოვრობდა. თავის-თავად ივულისხმებდა, რომ ყმაწვილი კაციც სიყვარულის ასეთსავე ალში იყო ვახვეული; ქალის მშობლებმა, შენიშნეს რა ახალგაზრდათა ესოდენი მიდრეკილება ურთიერთისადმი, აუკრძალეს ასულს ფიქრაც კი ყმაწვილ კაცზე, ხოლო ყმაწვილ კაცს თავიანთ ოჯახში ღებულობდნენ ბევრად უფრო ცუდად, ვიდრე სამსახურიდან გასულ ქასამართლოს დაბალ მოხელეს ღებულობენ ხოლმე.

ჩვენს შეყვარებულთ მიწერ-მოწერა ჰქონდათ ურთიერთთან და ყოველდღე

საიდუმლოდ ხედავდნენ ერთმანეთს ფიჭვნარში ან ძველ ნიშთან. იქ ეფიცებოდნენ ერთმანეთს საუკუნო სიყვარულს, უჩიოდნენ ბედს ჭა მრავალხანა ფიქრსა და განზრახვას ეძლეოდნენ. ამ მიწერ-მოწერასა და ლაპარაკში ისინი შემდეგ მსჯელობამდე მივიდნენ (რაც სავსებით ბუნებრივი იყო): თუ ჩვენ უერთმანეთოდ სუნთქვა არ შეგვიძლია, ხოლო მკაცრი მშობლების ნება-სურვილი ხელს უშლის ჩვენს კეთილდღეობას, იქნებ უმჯობესი იყოს გვერდი ავუაროთ ამ ნება-სურვილსო. რა თქმა უნდა, ამ ბედნიერმა აზრმა პირველად ყმაწვილ კაცს გაუელვა თავში, და იგი ძალზე მოეწონა მარია გავრილოვნას რომანტიკულ ოცნებას.

ზამთარი დადგა და შეყვარებულთა შეხვედრა შეწყდა; სამაგიეროდ უფრო გაცხოველდა მიწერ-მოწერა. ვლადიმირ ნიკოლაევიჩი ყოველ წერილში ემუდარებოდა, დანდობოდა მას, ურჩევდა, დაეწერათ ჯვარი, ერთხანს მიმალულიყვნენ, შემდეგ ფეხებში ჩაყარდნოდნენ მშობლებს, შეყვარებულთა გმირული სიმტკიცე და უბედურება, რასაკვირველია, მოაღბობს მათ გულს და უსათუოდ იტყვიან: შეილებო, მოდით გულში ჩაგიკრათო.

მარია გავრილოვნა დიდხანს ყოყმანობდა; უარჰყო გაქცევის მრავალი გეგმა. ბოლოს დათანხმდა: დანიშნულ დღეს ვახშამი არ უნდა ჰამოს, თავის ტკივილი მოიმიზეზოს და ოთახში ჩაიკეტოს. მოახლე შეთქმულების მონაწილე იყო; ღამე ქალები უკან კარით ბაღში გავლენ, იქ იქნება მზა მარხილი, ჩახედებიან შიგ და ნენარადგოდან ხუთ ვერსზე, სოფელ ჟადრინოში პირდაპირ ეკლესიაში მივლენ, სადაც ვლადიმირი დახვდებათ.

საბედისწერო დღის წინა ღამეს მარია გავრილოვნას თვალი არ მოუხუჭავს; ემზადებოდა, ჰკრავდა საცვალს და ტანისამოსს, შემდეგ დაწერა გრძელი წერილი მეგობართან, მგრძნობიერ ქალიშვილთან, მეორე წერილი — თავის მშობლებთან. მეტად ტკბილი სიტყვებით ეთხოვებოდა მშობლებს, თავის საქციელს უზომო სიყვარულით ამართლებდა და ათავებდა, იმით, რომ ჩემი სიცოცხლის უბედნიერეს წუთად ჩავთვლი იმ წუთს, როდესაც ნება მომეცემა ფეხებში ჩაუყარდე მშობლებსო. ორივე წერილი ტულის ბეჭდით დაბეჭდა, რომელზედაც გამოსახული იყო ორი ცეცხლმოდებული გული სათანადო წარწერით; გათენება უკვე მოახლოებული იყო, როდესაც ლოგინზე წამოწვა და ჩასთვლიმა, მაგრამ საზარელი ზმანებანი წამდაუწუმ აღვიძებდნენ. ხან ეჩვენებოდა, თითქოს იმ წუთს, როდესაც მარხილში უნდა ჩამჯდარიყო და ჯვარის დასაწერად წასულიყო, მამა აჩერებდა, მტანჯველი სისწრაფით მიათრევდა თოვლზე და ბნელ, უძირო ჯურღმულში აგდებდა... და გულის აუწერელი ფანჯრალით მიფრინავდა იგი სივრცეში; ხან კიდევ ვლადიმირს ხედავდა, ბალახზე მწოლარეს, ფერწასულს, გასისხლიანებულს. მომაკვდავი ვლადიმირი გულის გასაგმირი ხმით ემუდარებოდა, დაეჩქაროს ჯვარის დაწერას... და სხვა მოჩვენებანი, საზიზღარი უაზრო მოჩვენებანი ზედიზედ მოსდევდნენ ერთმანეთს. ბოლოს ლოგინიდან წამოდგა; ჩვეულებრივზე უფრო გაფითრებული იყო. თავი სტკიოდა, სტკიოდა ნამდვილად. დედამ და მამამ შეამჩნიეს უგუნებობა. გულს უღადრავდა მათი გულითადი მზრუნველობა, მათი განუწყვეტელი კითხვები: რა დაგემაართა, მაშა? ავად ხომ არა ხარ, მაშა? საღამო ჩა-

მოწვა. ის აზრი, რომ დღის სინთლეს უკანასკნელად ეთხოვებოდა თავის
ოჯახში, გულს უკლავდა. ცოცხალ-მკვდარი დადიოდა; საიდუმლოდ ემშვი-
დებოდა ყოველ არსებას, ყველა საგანს, რომელსაც ირგვლივ ხედავდა. ვახ-
შამი შემოიტანეს; გული ძალზე უცემდა. აკანკალებული ხმით განაცხადა, ვახ-
შამის გუნებაზე არა ვარო, და შეუდგა გამომშვიდობებას. დედამ და მამამ გა-
დაჰკოცნეს და ჩვეულებისამებრ პირჯვარი გადასწერეს: ტირილი ძლივს შეიკავა.
თავის ოთახში შესვლისას სავარძელში ჩაეშვა და ცრემლად გარდაიქცა. მო-
აქლე ამშვიდებდა, ეხვეწებოდა ძალ-ლონის მოკრებას. ყველაფერი მზად იყო.
ნახევარი საათის შემდეგ მამას სამუდამოდ უნდა დაეტოვებინა მშობლიური
კერა, თავისი ოთახი, წყნარი ქალწულური ცხოვრება... გარეთ ქარბუქი მძვინ-
ვარებდა; ქარი ღრიალებდა, გაისმოდა ფანჯრის დარაბების ზანზარი და ბრა-
ხუნი; თითქოს ყველაფერი ემუქრებოდა ახალგაზრდა ქალს, ყველაფერი გან-
საცდელს უქადდა. მალე სახლში ყოველივე მიყუჩდა და ძილს მიეცა. მამა
შალში გაეხვია, შემდეგ თბილი სამოსი ჩაიცვა, ხელში თავისი კოლოფი დაი-
ჭირა და უკანა კარით გაეიდა. მოახლე ორი ბოხხით ხელში უკან გაჰყვა.
ბაღში ჩავიდნენ. ქარბუქი არ ცხრებოდა. ქარი მიმავალთ შიგ სახეში სცემდა,
თითქოს ცდილობდა ახალგაზრდა დამნაშავეს შეჩერებას. ძლივს დააღწიეს
თავი ბაღს. ბაღის ბოლოში, გზაზე მარხილი უცდიდათ. შეცივებული ცხენები
მოუსვენრად ცმუკავდნენ; ვლადიმირის მეეტლე მარხილის წინ იდგა და ფიცხ
ცხენებს იმაგრებდა. მეეტლემ უშველა ქალებს მარხილში ჩაჯდომა, ჩასდო
ბოხჩები და კოლოფი, დაავლო ხელი სადავეს, და ცხენებმა სწრაფად გასწიეს.
მივანდოთ ქალიშვილი ბედის მზრუნველობას და ტერეშკა მეეტლის ოსტატო-
ბას, ხოლო ჩვენ დავუბრუნდეთ ყმაწვილ კაცს, ჩვენს ახალგაზრდა შეყვა-
რებულს.

მთელი დღე ვლადიმირმა მიმოსვლაში გაატარა, დილით ჟადრიწელ
მღვდელთან იყო; ძლივს დაიყოლია ჯვარისწერაზე; მერე მეზობელ მემამუ-
ლეებს შორის მოწმეების ძებნას შეუდგა. პირველი, ვისაც იგი ეწვია, ყოფი-
ლი კორნეტი, ორმოცი წლის დრავინი ხალისით დათანხმდა მოწმად გაყოლაზე.
ეს ამბავი, ამბობდა იგი, ძველ დროს და ჰუსართა ოინებს მაგონებსო. დრა-
ვინმა დაიყოლია ვლადიმირი დარჩენილიყო სადილად, თანაც არწმუნებდა,
ორ დანარჩენ მოწმესაც ხელად ვიშოვნითო. მართლაც, სადილი ახლად გათა-
ვებული ჰქონდათ, რომ დრავინს ეწვივნენ ულვაშებ-გაწყებილი და დიზუბში
გამოწყობილი მიწისმზომელი შმიტი და კაპიტან-ისპრავნიკის შვილი, თქვს-
მეტი წლის ყმაწვილი, რომელიც ის იყო ულანად შესულიყო. მათ არა თუ
მიიღეს ვლადიმირის წინადადება, ფიციც კი დასდეს, სიცოცხლეს გავწირავთ
თქვენთვისაო. ვლადიმირი ალტაცებით გადაეხვია მათ და შინისკენ გაეშურა
მოსამზადებლად.

ბინდი დიდი ხანია უკვე ჩამოწოლილიყო. ვლადიმირმა თავისი საიმედო
ტერეშკა ნენარადოვოში გაგზავნა სამცხენიანი მარხილით, თანაც დაწვრილე-
ბით, საფუძვლიანად დაარიგა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო; თავისთვის კი
ერთცხენიანი პატარა მარხილი შეაბმევინა და მარტოდ-მარტო, უმეეტლოდ
გაემგზავრა ჟადრიწოში, სადაც ორი საათის შემდეგ მარია გავრილოვნა უნდა

მისულიყო. გზა ნაცნობი იყო, იქ მიაგვლას კი სულ ოციოდე წუთი უხდოდა.

მაგრამ გასცდა თუ არა სოფლის არემარეს, ისეთი ქარი ამოვარდა, ისეთი ბუქი დადგა თოვლისა, რომ ველარაფერს ველარ ხედავდა. თვალის დახამხამებაზე გზა თოვლით დაიფარა და მიდამო თუთრდ გადაიპენტა. ჰაერში მოთეთრო-მოყვითალო ბურუსი იდგა, თვალი თოვლის თეთრი ბარდნების მეტს ველარაფერს ველარ არჩევდა; ცა დედამიწას შეუერთდა. ვლადიმირი გაშლილ მინდორში იყო და ამოდ ცდილობდა კვლავ გზაზე მოხვედრას. ცხენი ალაღბედზე მიდიოდა, ხან თოვლის ზვინს წააწყდებოდა, ხან ორმოში ეშვებოდა. მარხილი წამდაუწუმ პირქვევდებოდა. ვლადიმირი ერთს ცდილობდა მხოლოდ— ნამდვილი მიმართულება არ დაეკარგა. მაგრამ ატყობდა, რომ უკვე ნახევარ საათზე მეტ დროს გაეგლო და ტყე კი, რომელიც ჟადრინოს ცალ მხარეს ეკრა, არსად სჩანდა. განვლო კიდევ ათიოდე წუთმა, ჟადრინოს ტყე მაინც არსად იყო. მინდორი, რომელზედაც ვლადიმირი მიდიოდა, ღრმა ხრამებით იყო დასერილი. ქარბუქი დაცხრომას არ აპირებდა, ცას ნათელი არ ეფინებოდა. ცხენს დაღლა დაეტყო, თვითონ ვლადიმირს კი ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, თუმცა წამდაუწუმ წელამდე თოვლში დგომა უხდებოდა.

ბოლოს შენიშნა, რომ სხვა მხრისკენ მიდიოდა. შეჩერდა; შეუდგა ფიქრს, მოსაზრებას, და იმ აზრს დადგა, რომ მარჯვნივ უნდა აიღოს მიმართულება. გაემართა მარჯვნივ. ცხენი ძლივს ადგამდა ფეხებს. ერთ საათზე მეტი იქნება, რაც გზაშია. ჟადრინო ახლო უნდა იყოს. იგი მიდიოდა და მიდიოდა, მინდორს კი ბოლო არ უჩანდა. ყველგან თოვლის ზვინები და ხრამები იყო, მარხილი წამდაუწუმ პირქვევდებოდა, წამდაუწუმ აყენებდა. დრო მიდიოდა; ვლადიმირი ძალზე შემფოთდა.

ბოლოს განზე რაღაც შავი შენიშნა. გადაუხვია იქითკენ. მიახლოვებისას ტყე დაინახა. მადლობა ღმერთს, გაიფიქრა, ესლა კი ახლოაო. გაჰყვა ტყეს, იმედოვნებდა, გზას წააწყდებოდა ან ტყეს შემოუვლიდა: ჟადრინო მეორე მხარეს იყო. მალე გზაც იპოვნა და ზამთრის მიერ გაშიშვლებული ხეების წყვილიადში შევიდა. ქარი იქ ჩვეულებრივად ვერ დანავარდობდა; გზა კარგი იყო; ცხენი გამხნევედა და ვლადიმირი დამშვიდდა.

შეუჩერებლად მიდიოდა, ჟადრინო კი მაინც არსად სჩანდა: ტყეს ბოლო არ ეღებოდა. ზარდაცემულმა ვლადიმირმა დაინახა, რომ უცნობ ტყეში იყო. სასოწარკვეთილებამ მოიკცა. გაბრაზებულმა ცხენს გადაჰკრა; საცოდავი პირუტყვი ერთი კი აძუნძულდა, მაგრამ მალე ნაბიჯს მოუკლო და თხუთმეტოდე წუთის შემდეგ ტატიით გაემართა, თუმცა უბედური ვლადიმირი ძალღობის არ იზოგავდა მის გასარეკად.

თანდათან ხეები შეთხელდა, და ვლადიმირმა თავი დააღწია ტყეს: ჟადრინო არა სჩანდა. შუალამე იქნებოდა. თვალისგან ცრემლი წასქდა; ალაღბედზე გაემართა. ქარბუქი ჩადგა, ღრუბლები გაიფანტა, მის წინ გადაიშალა თეთრი, ტალღისებური ნოხით დაფარული ვაკე. ღამე საკმაოდ ნათელი იყო. შორი-ახლო ოთხი თუ ხუთი მეკომურისაგან შემდგარი სოფელი დაინახა. ვლადიმირი სოფლისკენ გაემართა. პირველ ქოხთანვე მარხილიდან გადმოხტა; ფანჯარასთან მიიბრინა და კაკუნს შეუდგა. რამდენიმე წუთის შემდეგ ხის და-

რაბა ზევით აიწია და მოხუცმა ჰალარა წვერი გამოჰყო.

— რა გინდა?

— შორს არის ჟადრინო?

— ჟადრინო შორს არისო?

— ჰო! ჰო! შორს არის?

— არ არის შორს; ათი ვერსი იქნება.

ამ პასუხზე ვლადიმირმა თმაში ხელი იტაცა და გაშეშდა, როგორც სასიკვდილოდ განწირული ადამიანი.

— საიდან ხარ შენ? — განაგრძო მოხუცმა. ვლადიმირს მოთმინება არ ეყო გაეტყუა პასუხი ამ კითხვაზე.

— ხომ არ შეგიძლია, მოხუცო, — ჰკითხა მან, — მიმოვნო ცხენები ჯადრინომდე?

— ვინ მოგვცა ცხენები! — მიუგო გლეხმა.

— იქნებ გზის მაჩვენებელი მაინც იყოს? მივცემ, რასაც მოითხოვს.

— მოიცა, — სთქვა მოხუცმა და დარაბის ჩამოშვებას შეუდგა, — შეილს გამოვგზავნი; ის გაგაცილებს.

ვლადიმირმა ერთხანს იცადა. არ გასულა ერთი წუთი, რომ კვლავ კაკუნს შეუდგა. დარაბა აიწია, წვერი გამოჩნდა.

— რა გინდა?

— სად არის შენი შეილი?

— ამ საათში გამოვა, ფეხთ იცვამს. იქნებ შეგცივდა? შემოდი, გათბი.

— გმადლობ, დაუჩქარე შეილს.

ჰიშვარმა დაიჭრიჭინა; გამოვიდა ახალგაზრდა გლეხი კეტით ხელში; წინ გაუძღვა, ხან უჩვენებდა, ხან ეძებდა თოვლის ზვინებით დაფარულ გზას.

— რომელი საათია? — ჰკითხა ვლადიმირმა.

— მალე გათენდება კიდევ, — მიუგო ახალგაზრდა გლეხმა.

ვლადიმირს კრინტი არ დაუძრავს.

მამლები ყიოდნენ და უკვე გათენებული იყო, როდესაც ჟადრინოს მი-
აღწიეს. ეკლესია დაკეტილი დახვდათ. ვლადიმირი გაუსწორდა გზის მაჩვენებელს და მღვდლის ეზოსკენ გაემართა. ეზოში მისი მარხილი არა ჩანდა. ნეტავი რა ამბავი დახვდება!

მაგრამ დავუბრუნდეთ კეთილ ნენარადოველ მემამულეებს და ვნახოთ რა მოხდა იქ.

არაფერიც არ მომხდარა.

მოხუცებმა გაიდვიძეს; ორივემ სასტუმრო ოთახს მიაშურა, გავრილა გავრილოვიჩმა ჩაჩით თავზე და თივთიკის კურტაკით ტანზე, ხოლო პრასკოვია პეტროვნამ შლაფროკში გამოწყობილმა. ჩაი შემოიტანეს, და გავრილა გავრილოვიჩმა გოგო გაგზავნა მარია გავრილოვნასთან, გაეგო, როგორ მოისვენა ღამე და ჯანმრთელად არის თუ არა. გოგო დაბრუნდა: ახალგაზრდა ქალბატონს ცუდად ეძინა, მაგრამ ეხლა უკეთ გრძნობს თავს და ამ წუთში თითონაც გეახლებათო. მართლაც, კარი გაიღო და მარია გავრილოვნა მისასალმებლად მამასთან და დედასთან მივიდა.

— როგორა გაქვს თავი, მაშა? — ჰკითხა გავრილა გავრილოვიჩმა.

— უკეთ, მამილო, — მიუგო მაშამ.

— შენ, მაშა, გუშინ, ალბათ, დაგსუთრა, — სთქვა პრასკოვია პეტროვნამ.

— შეიძლება, დედილო, — მიუგო მაშამ.

დღემ კეთილად ჩაიარა; მაგრამ ღამე მაშა უქეიფოდ გახდა. გაგზავნეს კაცი ქალაქში მკურნალის მოსაყვანად. იგი საღამოთი მოვიდა. მაშა უკვე ბოდავდა. ძლიერი სიცხე მისცა, და საცოდავი ავადმყოფი ორ კვირას სიკვდილს ჰირში შეჰყურებდა.

გაპარვის ამბავზე არავინ შინ არაფერი არ იცოდა. წინა ღამეს დაწერილი წერილები დასწევს; მოახლე ბატონების განჩისხების შიშით კრინტს არავისთან სძრავდა. მღვდელი, ყოფილი კორნეტი, უღვაშებ-გაწკებილი მიწის-შზომელდ და პატარა ულანი, — ყველა დადუმებული იყო და არც თუ ამაოდ. ტერეშკა მეეტლეს ზედმეტ სიტყვას ვერ ათქმევინებდი, სიმთვრალეშიაც კი. ამრიგად, საიდუმლოება დაცულ იქნა, მიუხედავად იმისა, რომ შეთქმულების მონაწილეთა რიცხვი ექვს კაცამდე აღწევდა. მაგრამ საიდუმლოება გაამჟღავნა თვით მარია გავრილოვნამ, გაამჟღავნა განუწყვეტელი ბოდვის დროს, თუმცა წამოსროლილი სიტყვები იმდენად ბუნდოვანი და შეუსაბამო იყო, რომ დედამ, რომელიც ავადმყოფის ლოგინს არ შორდებოდა, გაიგო მხოლოდ ის, რომ მის ქალიშვილს გაგიჟებით უყვარს ვლადიმირ ნიკოლაევიჩი და რომ ავადმყოფობა, ალბათ, შედეგად მოჰყვა ამ სიყვარულს. იგი ეთათბირა ქმარს, ზოგიერთ მეზობელს და ბოლოს ყველამ ერთხმად დაასკვნა, რომ, ჩანს, ასეთია მარია გავრილოვნას წერა, რომ ზედს ვერ გაექცევი. რომ სიღარიბე ბოროტება არ არის, რომ ცხოვრებაში მთავარი ადამიანია და არა სიმდიდრე, და სხვა ამისთანები. ზნეობრივი თქმულება-ანდაზები გასაოცრად ხელსაყრელია ისეთ შემთხვევებში, როდესაც თავის გასამართლებლად სხვა რამის გამოძებნას ვეღარ ვახერხებთ.

ჯანსობაში მაშამ გამომრთივლება იწყო. ვლადიმირს დიდი ხანია თავი აღარ შეუყვია გავრილა გავრილოვიჩის სახლში. იგი დამფრთხალი იყო ჩვეულებრივი მიღებით. გადასწყვიტეს, მიეწყიათ იგი და გამოეცხადებინათ მოულოდნელი ბედნიერება: თანხმობა ქორწინებაზე. მაგრამ როგორ გაოცდნენ ნენარადოველი მემამულენი, როდესაც პასუხად ნახევრად გიჟური წერილი მიიღეს! ვლადიმირი აცხადებდა, ჩემ ფეხს ვეღარ ჩახაოთ თქვენს სახლშიო, და იხვეწებოდა, დაევიწყათ უბედური, რომლისთვისაც სიკვდილი ერთად-ერთი ნუგეში იქნებო. რამდენიმე დღის უყმაღკე გაიგეს, რომ ვლადიმირი ჯარში წასულიყო. ეს მოხდა 1812 წელს.

დიდხანს ვერ გაუშხილეს ეს ამბავი მორჩენის გზაზე დამდგარ მაშას. თითონ მაშამ არც ერთხელ არ გაიხსენა ვლადიმირი. მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ ახალგაზრდა ქალი ვლადიმირის სახელს წააწყდა ბოროდინოს ბრძოლის დროს დაქრილთა სიასში, ამათ შარას, ყანც ბრძოლაში თავი ისახელა. ქალს გული წაუვიდა, შეეშინდათ, ავადმყოფობა არ განუახლდესო. მაგრამ, მადლობა ღმერთს, გულშემოყრამ უშედეგოდ ჩაიარა.

სხვა უბედურება დაატყდა ახალგაზრდა ქალს: ვარდაიცვალა გავრილა

გავრილოვიჩი და მთელი მამულ-დედულის მემკვიდრედ იგი დასტოვა. მაგრამ სამკვიდრებელი ნაკლებად ანუგეშებდა მაშას; იგი გულწრფელად იზიარებდა უბედურ პრასკოვია პეტროვნას მწუხარებას, ეფიცებოდა, არასოდეს არ მოგშორდებოდა. დედა-შვილმა მიატოვა ნენარადოვო, სამწუხარო მოგონებათა ეს ადგილი, და მუდმივ საცხოვრებლად ***-ის მამულში გადასახლდა.

საქმროები აქაც თავს ევლებოდნენ ლამაზ და მდიდარ საცოლეს; მაგრამ იგი მცირედენ იმედსაც კი არავის არ აძლევდა. დედა ზოგჯერ ჩასჩინებდა, აერჩია თავისთვის მეგობარი; მარია გავრილოვნა თავს აქნევდა და ფიქრს ეძლეოდა. ვლადიმირი უკვე ცოცხალი აღარ იყო: იგი მოკვდა მოსკოვში ფრანგების შესვლამდე. მისი ხსოვნა გულის სიღრმეში ჰქონდა ჩამარხული, ღალატი მისთვის შეუძლებლად მიაჩნდა; ყოველ შემთხვევაში ინახავდა ყველაფერს, რაც კი ვლადიმირს აგონებდა: წიგნებს, ოდესღაც მის მიერ წაკითხულს, მის ნახატებს, ნოტებს და ლექსებს, მის მიერ მაშასთვის გადაწერილს. მეზობლები ამის გაგონებაზე გაკვირვებას ეძლეოდნენ, აოცებდათ ახალგაზრდა ქალის სიმტკიცე, და ცნობისმოყვარეობით ელოდნენ გმირს, რომელიც ბოლოს გადალახავს ამ უმანკო არტემიზის მწუხარებით აღსავსე ერთგულებას.

ამასობაში_ომი სახელოვნად დამთავრდა. ჩვენი პოლკები საზღვარგარეთიდან ბრუნდებოდნენ. ხალხი შესახვედრად გარბოდა. მუსიკა დაპრობილ სიმღერებს უკრავდა: „Vive Henri-Quatre“ ¹⁾, ტიროლურ ვალსებს და არიებს უკონდიდან. ჭაბუკობის უამს სალაშქროდ წასული ოფიცრები ბრძოლის ააჯრის მიერ დავაჟაკატულნი და ჯვრებით დამშვენებულნი ბრუნდებოდნენ. ჯარისკაცები მხიარულად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს და თან ლაპარაკში გერმანულ და ფრანგულ სიტყვებს ურევდნენ. დაუფიწყარი დრო იყო! დიდებისა და აღტაცების დრო! როგორ ძლიერად სცემდა რუსის გული სამშობლოს გაგონებაზე! რა ტკბილი იყო შეხვედრის ცრემლები! რა ერთსულოვნებით ვუერთებდით ხალხური სიამაყის გრძნობას ხელმწიფისადმი სიყვარულს! ხოლო ამ უკანასკნელისთვის რა წუთი იყო ეს წუთი!

ქალები, რუსი ქალები უბადლონი იყვნენ იმ დროს. ვაჰქრა მათი ჩვეულებრივი გულცივობა. ჭეშმარიტად წარმტაცი იყო მათი აღფრთოვანება, როცა ისინი გამარჯვებულებთან შეხვედრისას „ურას“ გაიძახოდნენ!

და თავსახურავენს ჰაერში ისროდნენ!

იმ დროის მომსწრე რომელი ოფიცერი არ აღიარებს, რომ საუკეთესო, უძვირფასეს ჯილდოსთვის რუსის ქალს უნდა უმადლოდეს?..

ამ ბრწყინვალე დროს მარია გავრილოვნა დედითურთ ***-ის გუბერნიაში ცხოვრობდა და მას არ უნახავს; როგორ დღესასწაულობდა ორივე სატახტო ქალაქი ჯარის დაბრუნებას. მაგრამ მაზრებსა და სოფლებში საერთო აღფრთოვანება შეიძლება უფრო ძლიერიც იყო. ოფიცრის გამოჩენა ამ ადგილებში ნამდვილი ზეიმი იყო, და მისი მეზობლობა სიკეთესს არ უქადაფრაკიან მოტრფიალეს.

უკვე ვთქვით, რომ, გულცივობის მიუხედავად, მარია გავრილოვნას კვლავინდებურად ევლებოდნენ თავს მოტრფიალენი. მაგრამ ყველას უკან უნდა

1) ვაუმარჯოს ჰენრიხ მეოხეს!

დაეხია, როდესაც მის კოშკს ეწვია დაჭრილი ჰუსართა პოლკოვნიკი ბურმინი, რომლის მკერდსაც გიორგის ჯვარი ამშვენებდა და რომელიც საინტერესო ფერმიხდილობით განირჩეოდა, როგორც მაშინდელი ქალიშვილები ამბობდნენ. იგი ოცდა ექვსი წლისა იქნებოდა. შვებულებაში იყო, მოვიდა თავის მამულში, რომელიც მარია გავრილოვნას სოფლის მეზობლად მდებარეობდა. მარია გავრილოვნამ თავიდანვე გამოარჩია იგი. მის გვერდით ავიწყდებოდა ჩვეულებრივი გულჩათხრობილება. ვერ ვიტყვით, რომ ყმაწვილი კაცის მოხიბლვას ესწრაფოდა, მაგრამ პოეტი მის ყოფაქცევაზე იტყოდა:

Se amor non è, che dunque?...¹⁾

ბურმინი მართლაც მეტად მიმზიდველი ყმაწვილი კაცი იყო. იგი აღჭურვილი იყო სწორედ ისეთი ჭკუით, როგორიც ქალებს მოსწონთ: არაფრის მომხიზონი ზრდილობისა და დაკვირვების ჭკუით, უდარდელად დამცინავი ჭკუით. მარია გავრილოვნასთან უბრალოდ და თავისუფლად ეჭირა თავი; მაგრამ მისი სული, და გული თან სდევდა ყოველივეს, რასაც მარია გავრილოვნა იტყოდა ან გააკეთებდა. იგი წყნარ და მშვიდობიან კაცად გამოიყურებოდა, მაგრამ, როგორც ხმა დადიოდა, ოდესღაც ბურმინი თავზე ხელაღებული ყოფილა, თუმცა ეს არ ამცირებდა მას მარია გავრილოვნას თვალში, რადგან ეს უკანასკნელი (ისევე, როგორც ყველა სხვა ახალგაზრდა მანდილოსანი) სიამოვნებით ხუჭავდა თვალებს ისეთ სიცელქეზე, რომელიც გზბედულებასა და ხასიათის აღტყინებას აწყდავენებს.

მაგრამ ახალგაზრდა ქალის ცნობისმოყვარეობასა და ოცნებას ყველაზე მეტად... (უფრო მეტად, ვიდრე სინაზე, სასიამოვნო საუბარი, საინტერესო ფერმკრთალობა; შეხვეული ჭრილობიანი ხელი) აღიზიანებდა ყმაწვილი ჰუსართის მღუმარება. მარია გავრილოვნას არ შეეძლო არ დაენახა, რომ იგი ძალიან მოსწონდა ჰუსარს; ალბათ, ჰუსარიც, ესოდენი ჭკუითა და გამოცდილებით აღჭურვილი, უკვე ამჩნევდა, რომ ქალს გამორჩეული ჰყავდა იგი: მაშ როგორ მოხდა, რომ დღემდე ქალი ვერ ხედავდა მას ქედმოხრილს, თავის წინაშე დაჩოქილს, არ ესმოდა მისგან სიყვარულში გამოტეხა? რა იკავებდა ყმაწვილ კაცს? მოკრძალება, სიამაყე თუ ოსტატი მომხიბლავის თვალთმაქცობა? ამოცანა იყო ეს ახალგაზრდა ქალისთვის. მოფიქრების შემდეგ იმ აზრს დაადგა, რომ ერთად-ერთი მიზეზი მოკრძალებააო, და ვადასწყვიტა, გაემხნევიებინა იგი მეტის ყურადღებით, ხოლო საქმისა და ვითარების მიხედვით, მეტის სინაზითაც. მან უაღრესად მოულოდნელი ნასკვი მოიფიქრა, და მოუთმენლად მოელოდდა რომანტიკულ ახსნას. საიდუმლო, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, ყოველთვის ამძიმებს ქალის გულს. მარია გავრილოვნას საომარმა მოქმედებამ სასურველი ნაყოფი გამოიღო: ყოველ შემთხვევაში ბურმინი ისეთ ფიქრსა და საგონებელს მიეცა, მისი შავი თვალები ისეთ ცეცხლს აფრქვევდნენ და ისე დაშტერებოდნენ მარია გავრილოვნას, რომ გადამწყვეტი წუთა ამჟამად მოახლოვებული იყო. მეზობლები ქორწინებაზე ისე ლაპარაკობდნენ, როგორც უკვე გათავებულ საქმეზე, ხოლო გულკეთილი პრასკოვია პეტროვნა

¹⁾ თუ ეს სიყვარული არ არის, მაშ რა უნდა იყოს იგი?

სიხარულს ეძლეოდა, რომ მისმა ქალიშვილმა ბოლოს ჰპოვა ღირსეული საქმრო. მოხუცი მარტოდ-მარტო იჯდა სასტუმრო ოთახში, და ქალაქს შლიდა, როდესაც ბურმინი შევიდა და მარია გავრილოვნა იკითხა.

— ბაღშია, — მიუგო მოხუცმა, — წადით მასთან, მე კი აქ დავიცდით.

ბურმინი წავიდა, ხოლო მოხუცმა პირჯვარი გადაიწერა და გაიფიქრა, ღმერთო შენით, იქნებ დღესვე გაათავდეს საქმეო.

ბურმინმა მარია გავრილოვნა გუბურთან ნახა, ტირიფის ქვეშ. წიგნით ხელში და თეთრ სამოსში იგი რომანის ნამდვილ გმირ-ქალს ჰგავდა. პირველი შეკითხვების შემდეგ მარია გავრილოვნამ განგებ შეანელა საუბარი, რათა უფრო გაეძლიერებინა უხერხული მდგომარეობა, რისაგანაც თავის დაღწევა მხოლოდ მოულოდნელად და გაბედული გამოტებით შეიძლებოდა. ასეც მოხდა: ბურმინმა, იგრძნო რა უხერხულება, განაცხადა, დიდი ხანია ვეძებ შემთხვევას გული გადაგიშალოთო, და სთხოვა, დაეთმო მისთვის ერთი წუთი. მარია გავრილოვნამ წიგნი დაკეცა და თანხმობის ნიშნად თვალები დახარა.

— მიყვარხართ, — სთქვა ბურმინმა, — მიყვარხართ გატაცებით... (მარია გავრილოვნა გაწითლდა, თავი უფრო დაბლა დახარა). გაუფრთხილებლად მოვიქეცი, როდესაც საყვარელ ჩვეულებას ვეძლეოდი, ჩვეულებას — მენახეთ ყოველდღიურად, მესმინა თქვენი ხმა ყოველდღიურად... (მარია გავრილოვნამ გაიხსენა St. Preux-ს პირველი წერილი). ეხლა უკვე გვიან არის გაუმკლავდე ჩემს ბედს; თქვენ სამუდამოდ დარჩებით ჩემს გულში, თქვენი ძვირფასი, შეუდარებელი სახე ამიერიდან ჩემი სიცოცხლის ტანჯვისა და შვების წყაროდ გადაიქცევა; მაგრამ მე ერთი მძიმე მოვალეობაც უნდა შევასრულო, გაგიმხილოთ საზარელი საიდუმლო და აღმართო ჩვენს შორის გადაულახავი ზღუდე...

— ეს ზღუდე მუდამ არსებობდა, — ვააწყვეტინა სწრაფად მარია გავრილოვნამ, — შე ვერასოდეს ვერ გავხდებოდი თქვენს ცოლად...

— ვიცი, — მიუგო წყნარად ბურმინმა, — ვიცი, რომ ოდესღაც გიყვარდათ, მაგრამ სიკვდილმა და მწუხარებამ სამი წლის მანძილზე... ძვირფასო, კეთილო მარია გავრილოვნა! ნუ ცდილობთ დამაკარგვინოთ უკანასკნელი ნუგეში: ის აზრი, რომ თქვენ დათანხმდებოდით ჩემ გაბედნიერებას... ვაჩუმიდით, ღვთის გულისათვის ვაჩუმიდით! ნუ მტანჯავთ. დიახ, ვიცი, ვგრძნობ, რომ თქვენ ჩემი იქნებოდით, მაგრამ — მე ყოვლად უბედური აღამიანი ვარ... მე ცოლიანი ვარ!

გაოცებულმა მარია გავრილოვნამ თვალები შეანათა.

— ცოლიანი ვარ, — განაგრძო ბურმინმა; — უკვე ოთხი წელიწადია ცოლი მყავს და არ ვიცი, ვინ არის ჩემი ცოლი, სად არის და ვნახავ მას ოდესმე თუ არა.

— რას ამბობთ? — წამოიძახა მარია გავრილოვნამ; — რა უცნაურია! განაგრძეთ; მე მერე ვიამბობთ... განაგრძეთ, ღვთის გულსთვის განაგრძეთ.

— 1812 წლის დასაწყისში, — სთქვა ბურმინმა, — ვილნოში მივეშურებოდი, იქ ჩვენი პოლკი იდგა. გვიან ღამე ერთ საღმურზე მივედი; ის იყო ვუბრძანე ცხენები შევებათ, რომ უეცრად საშინელი ქარბუქი ამოვარდა. ზე-

დამხედველმაც, მეეტლემაც მიირჩიეს, შემეცადა ქარბუქის ჩაცვომამდე. დავუჯერე, მაგრამ მალე რაღაც მოუსვენრობამ ამიტაცა, თითქოს ვიღაც მაჩქარებდა, მიბიძგებდა. ქარბუქი კი დაცხრომას არ აპირებდა; მოთმინება არ მეყო, კვლავ ვუბრძანე, შეებათ ცხენები, და საშინელ ქარბუქში გზას გავუდექი. მეეტლე მდინარეს გაჰყვა, რასაც გზა სამი ვერსით უნდა შემოკლებოდა. ნაპირები თოვლით იყო გადაპენტილი; მეეტლე გასცდა იმ ადგილს, სადაც გზაზე უნდა გავსულიყავით, და ამრიგად უცნობ მხარეში მოვყვეით. ქარბუქი არა ცხრებოდა; თვალი მოგეკარ შუქს და ვუბრძანე მეეტლეს, იქითკენ წასულიყო. სოფელში შევედი; შუქი სის ეკლესიიდან გამოდიოდა. ეკლესია ღია იყო, ეზოში რამდენიმე მარხილი იდგა, კარბუქსთან კაცები დადიოდნენ. „აქეთ! აქეთ!“ დამიძახეს. ვუბრძანე მეეტლეს, ეკლესიასთან მისულიყო. „რადგემართა, სად გადაიკარგე? — მითხრა ვიღაცამ, — პატარძალს გული შეუღონდა, ხუცესმა აღარ იცის, რა ჰქნას. კინალამ უკან დავბრუნდი. შემოდი, რაღას უცდი!“ უსიტყვოდ გადმოვხტი მარხილიდან და შევედი ეკლესიაში, რომელიც ოდნავ იყო განათებული ორი-სამი სანთლით. ვიღაც ქალიშვილი ბნელ კუთხეში მერსზე იჯდა, მეორე ქალიშვილი საფეთქლებს უზღავდა. „მადლობა ღმერთს, — სთქვა ამ მეორემ, — ძლივს ველირსეთ თქვენს მოსვლას. კინალამ მოჰკალით საწყალი ქალი“. მოხუცი მღვდელი მომიახლოვდა, მიბრძანებთ დავიწყოო, მკითხა. დაიწყეთ, მამაო, დაიწყეთ მეთქი, მივუგე გაფანტულად. ქალიშვილი ააყენეს. მარილიან ქალად მეჩვენა... გაუგებარი, შეუწყნარებელი ქარაფშუტობა ჩავიდინე... გვერდში ამოვუდექ ქალს; მღვდელი ჩქარობდა, სამი მამაკაცი და მოახლე ქალს ეხვეოდნენ და მე ყურადღებას არ მაქცევდნენ. ჯვარი გადავწერეს. „აბა გადაჰკოცნეთო“, შემოგვძახეს აქეთ-იქიდან. ჩემმა ცოლმა ფერმიხდილი სახე ჩემსკენ იბრუნა. ის იყო, უნდა მეკოცნა, რომ შეჰკვილა: „ის არ არის, ის არ არისო“, და გრძობა-დაკარგული დაეცა. მოწმეებმა შეშინებული თვალები შემომანათეს. მოვტრიალდი, დაუბრკოლებლად ტაძრიდან გამოვედი, ეტლში შევხტი და მეეტლეს დავუყვირე: გასწი!

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა მარია გავრილოვნამ, — და დღემდე არ იცით, რა დაემართა თქვენ უბედურ ცოლს?

— არ ვიცი, — მიუვო ბურმინმა, — არ ვიცი სახელი იმ სოფლისა, სადაც ჯვარი დავიწერე; არ მახსოვს, რომელი სადგურიდან გავედი. მაშინ იმდენად მცირე მნიშვნელობას ვაძლევდი ჩემ დანაშაულებრივ საქციელს, რომ გავცდი თუ არა სადგურს, ჩამეძინა და გამომეღვიძა მხოლოდ მეორე დღეს დილით, მესამე სადგურზე. მსახური, რომელიც იმ დროს მახლდა, ომში მოკვდა, ასე რომ იმედიც კი დავკარგე მოვნახო ის, ვისაც ასე სასტიკად მოვექეც და ვინც ამჟამად ასე მკაცრად მიხდის სამაგიეროს.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! — სთქვა მარია გავრილოვნამ და ხელი სტაცა; — მაშ თქვენ იყავით? ნუ თუ ვერა მცნობთ?

ბურმინი გაფითრდა... და ფეხებში ჩაუვარდა მარია გავრილოვნას...

თარგმანი ილია აგლაძისა.

ა. პუშკინი და ი. ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძის მუშაობა, როგორც მთარგმნელისა, მეტად საგულისხმო ეტაპს წარმოადგენს მის შემოქმედებაში. იგი გვაცნობს იმ პოეტურ გარემოს და იმ იდეურ ინტერესებს, რომელიც ახასიათებდა ახალგაზრდა მგოსანს მისი დიდი ლიტერატურული ცხოვრების დასაწყისში, მისი მხატვრულ-ესტეტიურ შეხედულებათა დადგენის პროცესში. აქ საქმე გვაქვს მეტად ფართო დიაპაზონთან, რომელმაც საშუალება მისცა ილიას ფართოდ აეთვისებინა ევროპული და რუსული პოეტური კულტურის საუკეთესო მიღწევანი.

ილია ჭავჭავაძის მთარგმნელური მუშაობა განსაკუთრებით ინტენსიური იყო მისი ახალგაზრდობის პერიოდში. უმეტესობა მისი პოეტური თარგმნებისა მოდის 1857 — 61 წლებზე, იმ ხანაზე, როდესაც ილია ითვლებოდა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტად.

ამ დროს ჩვენი პოეტი სთარგმნის გეტეს, ვალტერ სკოტს, შილერს, ჰეინეს, რიუკერტს, ანდრე შენიეს, ტომას მურს. რუსი პოეტებიდან იგი გულმოდგინედ მუშაობს ლერმონტოვისა და პუშკინის შემოქმედებაზე.

ლერმონტოვიდან ილიამ სთარგმნა პოემები: „პაჯი-აბრეკი“ და „მწირი“ ლექსებიდან: „სიზმარი“, „წინასწარმეტყველი“ და „ციცაბო კლდე“.

პუშკინის თხზულებათაგან ილიას გადმოუთარგმნია მხოლოდ სამი ლექსი: „ჭეშმარიტება“, „ანგელოსი“ და „წინასწარმეტყველი“.

ეს თარგმანები შესრულებულია 1858 წლის ზაფხულში, ივნის-ივლისში, როდესაც ილია იმყოფებოდა ს. ტიარლევოში. ლერმონტოვზე მუშაობას იგი უფრო გვიან შეუდგა, 1859 — 60 წლებში.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სტუდენტობის პერიოდი განსაკუთრებით ნაყოფიერ ხანად ითვლება ილიას პოეტურ შემოქმედებაში. ამ დროს მან შექმნა თავისი პოემები: „აჩრდილი“, „დედა და შვილი“, „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და თავისი ლექსების საუკეთესო ნაწილი, რომლის რიცხვი ექვს ათეულს აჭარბებს.

საკვირველი არ არის, რომ ასეთ ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობის დროს იგი განსაკუთრებულის ენერგიით ჰკიდებს ხელს პოეტურ თარგმანებსაც.

განსაკუთრებით საყურადღებოა ილიას არჩევანი პუშკინის ლექსებიდან. იგი სთარგმნის სხვა ლექსებს შორის პუშკინის ცნობილს „წინასწარმეტყველს“.

თავისი მომავალი დიდი პოეტური მისია ახალგაზრდა ილიას კარგად ჰქონდა. ამ დროს შეგნებული, იგი პუშკინის ლექსში ეძებდა თავისი გრძნობებისა და მისწრაფებათა შესატყვისს იდეებსა და შინაარსს. ეს ლექსი პუშკინისა, მართლაც საუკეთესოდ უპასუხებდა დიდი ქართველი პოეტის წინასწარ დასახულ მიზნებს:

...„და როგორც მკვდარი, უდაბნოს ვიწექ
და აღმიძახა უფლის ხმამ: „აღსდექ,
წინასწარმეტყვო! სჭვრეტდე, ისმენდე,
ჩემის ძეებითა აღივსებოდე,
და მოივლიდე რა ხმელთ და ზღვათა, —
სიტყვითა გულებს უნთებდე კაცთა!“...

(„წინასწარმეტყველი“)

ორი წლის შემდეგ, სტუდენტი ილია პავლოვსკიში სწერს თავის შესანიშნავ ლექსს „პოეტს“, რომელიც წარმოადგენს სამოციან წლების ქართულ პოეზიის ნამდვილ მანიფესტს. ამ ლექსში მეთაური ახალი ქართული ლიტერატურისა პირველად იძლევა სახელმძღვანელო პრინციპებს ახალი პოეტური თაობებისათვის, ძირეულად განსხვავებულს რომანტიულ სკოლის ეპიგონთა შემოქმედებისაგან.

აღსანიშნავია ამ ლექსის ღედააზრის სიახლოვე პუშკინის „წინასწარმეტყველის“ სტრიქონებთან:

„და მოივლიდე რა ხმელთ და ზღვათა, —
სიტყვითა გულებს უნთებდე კაცთა“.

ილია პოეტის დანიშნულებას ხედავს ერის წინამძღვრობაში, თავისა დაჩაგრული ხალხისათვის „ტანჯვის ცრემლის მოწმენდაში“ და არა უსაგნო შთაგონებისა და თვითმიზნურ სიმღერაში:

„დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმე ვიყო
კმუნვასა და სიხარულში!
„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
ღამედაგოს მტკიცე გული“.

ცხადია, ეს სტრიქონები პოეტის დანიშნულების შესახებ ილიას ძალიან აახლოებდა პუშკინთან, რუსეთის გენიალურ პოეტთან და ახალი რუსული ლიტერატურის ფუძემდებელთან, რომელიც შექმნა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული, ზიზლითა და შეურიგებელი სიძულვილით აღსავსე შედეგები. რომელიც სწერდა თავის „ძეგლში“:

«И долго буду тем любезен я народу,
Что чувства добрые я лирой пробуждал,
Что в мой жестокий век восславил я свободу,
И милость к падшим призывал».

ახალგაზრდა ილია საუცხოვოდ იცნობდა და აფასებდა პუშკინის შემოქმედების სიდიადეს. მას უყვარდა პუშკინის ლექსები, ხმარობდა მის სტრიქონებს ეპიგრაფად, როგორც მაგალითად, ალექსანდრე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ლექსში:

«Его стихов пленительная сладость

Пройдет веков завистливую даль».

გამარჯვებულმა მუშათა კლასმა მემკვიდრეობად მიიღო ძვირფასი საგანძური კლასიკური პოეზიისა. იგი აფასებს და პატივს სცემს წარსული პოეტური შემოქმედების უდიდეს მიღწევებს გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე მისი წინამორბედი კლასი. პუშკინიც და ილია ჭავჭავაძეც თავისი შემოქმედებით ახლობელნი არიან ჩვენი მშრომელი ხალხისთვის. მათი სახელები და მათი მემკვიდრეობა შესული არის საბჭოთა ლიტერატურის რკინის ფონდში, როგორც უკვდავი ქმნილებანი, რომელთა ცხოველყოფილობა პუშკინისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, — „Пройдет веков завистливую даль“.

ხალხურობის საკითხი საბჭოთა მწერლობაში

(ფორმალიზმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ)

წერილი მეორე

მთელ რიგ მხატვრულ ნაწარმოებთა სხვადასხვა ტენდენციების ანალიზის შედეგად ჩვენ უკვე შეგვიძლია დავსვათ საკითხი, თუ სახელდობრ რაღა არის მწერლობაში ხალხურობა და შევეცადოთ გავცეთ მას კონკრეტული პასუხი. ამ ამოცანის შესრულების დროს ჩვენ აუცილებლად დაგვჭირდება ფორმალიზმისა და ნატურალიზმის ნიშნების გარკვევა და გამომჟღავნება, ვინაიდან ეს საკითხები ურთიერთთან მჭიდრო კავშირში არიან.

დავიწყოთ ძირითადიდან.

მხატვრული მწერლობის ქვაკუთხედი სიტყვაა, ენაა, იდეა. გრძნობა გამოხატება სიტყვით, ამის გარეშე ნაწარმოები არ არსებობს. ყველაფერი ეს ქმნის მთლიან სტილს, საერთო მხატვრულ სიცოცხლეს, ნაწარმოების სულსა და გულს. სიტყვა, ენა ეს ქვაკუთხედი მხატვრული შემოქმედებისა—უნდა იყოს, სადა შინაარსითა და აზრით დატვირთული. იგი არ უნდა იყოს ბუნდოვანი, ორაზროვანი, მახინჯი, ბლუ და ხელოვნური. სიტყვა ფართო მასების, ხალხის კუთვნილებაა და მისთვის აუცილებლად გასაგები უნდა იყოს. ენის შემოქმედი არის ხალხი და ხალხს იგი ვერასოდეს ვერ დასცილდება. და თუ დასცილდება, მაშინ ენა, სიტყვა კვდება, იგი აღარ სიცოცხლობს, გენიოსი შოთა რუსთველის სიტყვა ხალხის შემოქმედების წიალიდან იყო წარმოშობილი, მისთვის გასაგები და მისი გრძნობებისა და იდეების გამომხატველი. ამიტომ გადაურჩა იგი საუკუნეებს, გახდა ხალხისთვის საყვარელი და ამავე ხალხისათვის დღესაც გასაგებია. რუსთველის სიტყვამ უაღრესი სიზუსტით მიიტანა ხალხამდე პოეტის იდეები, რწმენა, აზრები. მისი სიტყვა ხალხის ბუმბერაზული შემოქმედების გამომხატველი იყო.

ყოველი დროის ფორმალისტები კი სიტყვას აღარიბებდნენ, აფეტიშებდნენ თავითადლირებულებას ანიჭებდნენ; ოინბაზობდნენ და სიტყვას ორაზროვანი, მახინჯი, კაკაფონიური მუსიკის იარაღად ხდიდნენ. სიტყვის ნამდვილი არსების მკვლევები ყოველთვის „მემარცხენე“ პოზაში გვევლინებოდნენ და უპირდაპირდ-

ბოდნენ ხალხური სიტყვის გენიას. ისინი მხოლოდ ვიწრო წრის, სოციალური კიბის მაღალი საფეხურის რაფინირებულ ენას ეყრდობოდნენ და კიდევ მეტად აცილებდნენ მას ხალხის ენას.

რა დაემართებოდა რუსთველის სიტყვას, რომ ის ყოფილიყო მისი დროის გადაპრეზილი ფეოდალების სიტყვა, იმდროინდელი დეკანოზ-ბლადოჩინების ბუნდოვანი, გამისტიურებული, ხეცური კაკაფონია, რომ რუსთველის სიტყვა ყოფილიყო გაპრანჭული, ხელოვნური, მაღალფარდოვანი, არეული, ჭრელი. მაშინ „ვეფხისტყაოსანი“ მემკვიდრეობად დარჩებოდათ მხოლოდ რუსთველოლოგების მცირე ჯგუფს.

დეკადენტი-ფორმალისტები სიტყვას აწამებენ, სჯიჯგნიან, ან მთლად შლიან, როგორც „ზაუმნიკებმა“ ჩაიდინეს; ან და არქაიზში, უკვე მკვდარ ფორმებში ახრჩობენ.

ქართულ მწერლობაში ამ უკანასკნელი მოვლენის ნაწილობრივი გამომხატველია კ. გამსახურდია. მისი მხატვრული პროზა დამძიმებულია არქაული, მკვდარი სიტყვებით, მათი ძველებური, უკვე გარდასული ქცევით. ფორმალისტები სიტყვას უკარგავენ თავის პირვანდელ ფუნქციას; მას ანაწილებენ, უაზროდ აერთებენ, ყალბად აინტერნაციონალებენ. ამ მოვლენის მთავარი გამომხატველი ჩვენს დროში არის თანამედროვე ინგლისის უდიდესი დეკადენტი მწერალი ჯოისი. იგი ირლანდიელია წარმოშობით. ჯოისი შლის ირლანდიურ სიტყვებს, ხელოვნურად აერთებს მათ ინგლისურთან, თვით ინგლისურ ენას ანაწილებს, ართულებს, ახალ ხელოვნურ სართულებს უქმნის. საბოლოო ანგარიშში ინგლისელ მკითხველს მისი რომანების კითხვა უჭირს „ჩვეულებრივ“ ინგლისურ ენაზე უთარგმნელად.

ფორმალიზმის ყველა ეს სახეობანი, საბოლოო ანგარიშში სიტყვას თვითმიზნურს ხდიან. აქედან კი წარმოიშობა ნაწარმოებთა თვითმიზნურობა, სახეების, შედარებების ბუნდოვანობა. ეს კი ხელოვნებას აღარბეებს, ხალხისაგან თიშავს. ჩვენი ეპოქის დეკადენტებში ეს მოვლენა მთელ რიგ შემთხვევებში მივიდა ხელოვნების სიკვდილამდე.

ფორმალიზმის ამდაგვარი გამოვლინებანი მხოლოდ მეოცე საუკუნის კულტურის იდეა არ არის. ცხადია, ეს მოვლენა დამახასიათებელია ბურჟუაზიული კულტურის დეკადანსისათვის, მაგრამ სხვა ეპოქებშიაც, ანალოგიურ სოციალურ და კულტურულ თავისებურებათა დროს, ადგილი ჰქონდა ასეთ მოვლენებს. მწერალმა ქალმა მარიეტა შაგინიანმა, ფორმალიზმის შესახებ მოსკოვში გამართულ დისკუსიაზე, თავის სიტყვაში მოიტანა საინტერესო მაგალითი—დანტეს ეპოქიდან. დანტეს მოღვაწეობის დროს არსებობდა „მემარცხენე“ მოძრაობა ხელოვნებაში, ფეოდალური პოეტების ჯგუფი:

„უკიდურესობამდე აწვითარებდნენ (ყთიყაჟი) ძველ ლათინურ ენას და ძველ ფორმებს, როგორც იმ ხანებში იყვნენ პოეზიაში. ამ თავის დროისათვის მეტად კულტურულ ადამიანებს დანტეს ნაწარმოებნი ეჩვენებოდათ გამართლებულად, დემოკრატიულად. ლათინური ენის (ყეჟი) რაფინირების ეპოქაში დანტე გამოვიდა შემდეგი ლოზუნგით — ხალხური იტალიანური ენა“ (მ. შაგინიანი)

ამის მსგავსად მოიქცნენ ჩვენი დროის ფორმალისტები — სიმბოლისტები. ასე მიაჩნდა გრიგოლ ორბელიანსაც, როდესაც ილიას და აკაკის უმდიდრეს ქართულ ენას — წახდენას და წარყვნას უწოდებდა. სიტყვის, ენის რაფინირება არის უბადრუკი ფორმალიზმი, ხალხისაგან დაცილება. ჩვენი პარტიის ც. ო. „პრავდა“ სწერდა, რომ მასები ლაპარაკობენ ნათელი, სადა, ძლევამოსილი (МОГУЧИИ) ენით, მთელი რიგი მწერლები კი დაცილებული არიან ნათელ, სადა, მართალ ენისაგან, რომლითაც უნდა ლაპარაკობდეს საბჭოთა ხელოვნება“-ო.

ჩვენს მწერალთა კავშირში ფორმალიზმის შესახებ გამართულ დისკუსიაზე კ. გამსახურდიამ განაცხადა რომ:

„სიტყვა ისეთი საშინელი ამბავია, რომ ერთი მხრიდან შეხედავ სულ სხვა არის, მეორე მხრიდან სულ სხვა“ო.

და მან სიტყვა აბრეშუმის საბანს შეადარა. ეს არის სწორედ პირწავარდნელი ფორმალიზმი, რასაც მთელი საბჭოთა მწერლობა ებრძვის. აქედან მომდინარეობს სიტყვის, აზრის დაღარობება, გაბუნდოვანება, ორაზროვნება. ეს არ არის ოსტატობა. პირიქით: სიტყვას უნდა ჰქონდეს სადა, კონკრეტული, გარკვეული აზრი. იგი ვერცხლის წყალივით არ უნდა ლივლივებდეს, არ უნდა უხსლტებოდეს ხელიდან ხელოვანს. შემომქმედი მაშინაა უმწეო, როდესაც მისი თქმული და დაწერილი სიტყვა ერთი მხრიდან — ერთია, მეორე მხრიდან — მეორე. იგი სიტყვის ბატონი უნდა იყოს და არა პირიქით. მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლების ხელში სიტყვა ყოველთვის დამორჩილებული და გამგონე იყო. მათი კალმის ქვეშ სიტყვას მხოლოდ ერთი შინაარსი აქვს.

აი აკაკი წერეთლის პოეზიის შედეგრი:

„აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,
სერზე შევდექ, კმუნვის ალი მენელა.
მზემან სხივი მომაფინა მაშინა,
სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ ქაშინა.
შემიღულდა მაშინ სული და გული,
იმ ნადულში თვით მე ვიყავ დაგული.
გულმა ძგერა, სულმა შფოთვა დამიწყო.
ჩანგმა თვისი მე სიმები დამიწყო,
ხმა სიმართლის შეუპოვრად გაისმა
(აწ იგი ხმა ვერ ისმინოს გაისმა).
ცის მახლობლად ფეხ ქვეშ ვიგრძენ მიწა მე,
ვსთქვი: „ცხოვრებაჲ, ჩეც ერთ კაცად მიწამე!“
და ვიფიქრე „ჩემი სატრფო სად არი?
ნისლი ჰბურავს, თუ დღე უღვას სადარი?“

ერთი შეხედვით კ. გამსახურდიას აზრი მტკიცდება. ფონეტიკურად ერთი და იგივე სიტყვა ხან ისეთია, ხან ასეთი. მაგრამ ეს მხოლოდ უგნურს მოეჩვენება ასე. აკაკის ამ შესანიშნავ ლექსში სიტყვის უდიდესი ოსტატობაა გამოჩვენებული. აქ თვითვე სიტყვას აქვს გარკვეული, კონკრეტული, მხოლოდ მისთვის კუთვნილი მნიშვნელობა და შინაარსი. დიდი პოეტი აკაკი „ჯადოქა-

რევით“ აძლევს თვითეულ სიტყვას თავის სიცოცხლეს, თავის დანიშნულებას. მის პოეტურ ნიჭს განუსაზღვრელად დამონებული სიტყვები ჰქმნიან პოეტურ მუსიკალურ სიწმინდას, რომელიც სმენას, გრძნობას ატყვევებს და იპყრობს. ამისათვის ნამდვილ ხელოვანს არ სჭირდება აზრის მსხვერპლად შეწირვა. აზრი მბრძანებლობს მუსიკის, რიტმის წარმტაც დენაში. ამ გზით იქმნება უნაკლო მხატვრული ნაწარმოები. როგორი სინათლე და სისადავეა აკაკის ამ ურთულეს ნაწარმოებში. ჭეშმარიტი შემოქმედებაც ყოველთვის ასეთია.

სწორედ ამიტომაც, რომ ხალხურია მხოლოდ უმაღლესი ხელოვნება, მხოლოდ დიდი ოსტატობა ქმნის სადა ნაწარმოებს. ამიტომაც, რომ ხალხურია რუსთველი, პუშკინი, აკაკი წერეთელი. ამიტომ გახდა ხალხური ვლ. მაიაკოვსკი. სისადავე ხელოვნებაში ყველაზე მეტად რთული და ძნელი საქმეა; ყველაზე მეტად დიდი ოსტატობა და ნამდვილი ნიჭი, ღრმა ცოდნა სჭირდება მას. აიქაა მოცემული მწერლობის ხალხურობის მთავარი საფუძველი. ამ საფუძველში შედის იდეურობა, აზრი, შინაარსიანობა. ხელოვნებამ უნდა გამოხატოს ხალხის გრძნობები, მისწრაფებები, ის, რაც ალელვებს ხალხს. ჩვენს ეპოქაში სოციალისტური იდეურობის გარეშე არ შეიძლება შეიქმნას ხალხური ხელოვნება, მწერლობა. ბრძოლა ფორმალისმის წინააღმდეგ არის ბრძოლა მწერლობის, ხელოვნების ხალხურობისათვის. ფორმალისტები გულგრილნი არიან ცხოვრებისადმი, ხალხის გრძნობებისადმი, მის ინტერესებისადმი. მათთვის უცხოა მაღალი მიზნები, ღრმა იდეები.

რა მიზნები ამოძრავებდათ და რა იდეები მოქმედებდათ „ყანწელ“ პოეტებს, როდესაც ისინი ილიას და აკაკის პოეზიას „სამოქალაქო არღნის“ პოეზიას უწოდებდნენ და თვით კი სწერდნენ ბოდვის შონათესავე, მახინჯი გრძნობების შემცველ, ავზიანობისა და სიკვდილის ლანდრთ გაქლენთილ ლექსებს. „ყისფერ-ყანწელ“ პოეტთა ჯგუფმა ჩასწყვიტეს ჩვენი კლასიკური პოეზიის ხაზი დეკადანსის ეპიგონურ გატაცებაში, დაივიწყეს კლასიკოსების საუკეთესო ტრადიციები და მათი გათელვაც კი მოინდომეს. ჩვენმა სიმბოლისტებმა რელიგიურ დოგმატად, სახარებად აქციეს ბოდლერის „ბოროტი ყვავილები“, სამოქმედო დევიზად მიიღეს ვერლენის:

„მთვრალი სიმღერა არის ძვირფასი,
ნათელ ბოდვაში მიეჭანება“.

მათ ჯერ აითვისეს როგორც უშინაარსო პოეტური ხერხი და შემდეგ სერიოზულად დაუჯერეს პოეტ ლათორეს, რომელიც მარშში „მიწის გარდაცვალების“ შესახებ სწერდა:

„მიწა მკვდარია და შესრულდნენ ყველა დროები,
უკანასკნელად დაიკვნესე ავი ხროტინით,
დაეხეტები როგორც კუმო და ძორი შავი“.

ამის შემდეგ არ არის გასაკვირველი, რომ იმ დროის ყველაზე მეტად ორტოდოქსალური სიმბოლისტი ვ. გაფრინდაშვილი აცხადებდა:

„შევსცქერი ქვეყანას როგორც იდიოტი,
ირიბი სამყარო მთლად გადამაშენებს“.

იგი თეორეტიულადაც ასაბუთებდა ყანწელ-სიმბოლისტების მახინჯ გზას და სწერდა, რომ ჩვენი ხელოვნება „იწვის თავის საკირეში და არაფერს არ სესხულობს ცხოვრებიდან“. (ქურნ. „მეოცნებე ნიამორები“ № 6)

ამ საკირეში კი იწოდა ღარიბი და მახინჯი მასალა. ამიტომ მათი შემოქმედებიდან ცხოვრების სიხარული განდევნილი იყო და მძვინვარებდა ავადმყოფური განწყობილებანი, მისტიციზმი. როგორც თვით სწერდნენ:

“. . . თავს ვესხმიან ავი ბოდვები,
ბნედა გერევა, მიწის წყლულის ხილვით გაოსილს,
დამხრჩვალ კატებში გაგონდება მთვარის ცოდვები,
პირზე გაშრება ცოფიანი ღუჭი ქაოსის“.

მეტ წილად დღეს ყველაფერი ეს ისტორიაა, მაგრამ ფორმალიზმის ნაშთებთან ბრძოლის დროს სწორად უნდა მოვსინჯოთ მისი სათავეები. ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ფორმალიზმი გამოიხატებოდა და იგი იწყება ცნობილ რუს-ლიტერატურის მკვლევართა ჯგუფით, როგორცაა ეიხენბაუმი, შკლოვსკი და სხვ. ეს საფუძველშივე მცდარი შეხედულებაა. ცხადია, ეს მკვლევარები თავის მუშაობით წარმოადგენენ ფორმალიზმის განშტოებას გარკვეულ სფეროში, მაგრამ მათი მუშაობით არც იწყება და არც მთავრდება ფორმალიზმი. ამჟამად ფორმალიზმი აღებულია ყოველმხრივად, ისე როგორც იგი არსებობდა და ნაწილობრივ არსებობს სინამდვილეში. ფორმალიზმს ვიღებთ უპირველეს ყოვლისა მხატვრული შემოქმედების ხაზით. ფორმალიზმი ბურჟუაზიული კულტურის დეკადანსის მიერ წარმოშობილი მოვლენაა. დეკადენტობა — სიმბოლიზმი არის მისი უპირველესი და მთავარი გამოხატულება. ფუტურისმი — თავის ზაუმური, თვითმიზნური სიტყვათაქმნადობით ფორმალიზმის (საფესურია. ამიტომაც, რომ ქართული ფორმალიზმის გავლენების გარკვევის დროს ჩვენ თვალის გადავლება გვიხდება მის სათავეებზედაც: ასეთი კი საქართველოშიაც სიმბოლიზმი და მისი შემდგომი საფესური აქაც ფუტურისშია. მისამართების სწორი გარკვევა ჩვენ გვიადვილებს ფორმალიზმის ყოველგვარ ნაშთების გამომკლავებას და მასთან სწორ ბრძოლას

დღეს, როგორც რუსულ, ისე ქართულ ლიტერატურაში ფორმალიზმი, როგორც მთელი მიმდინარეობა არ არსებობს. არ არიან დასრულებული ფორმალისტი მწერლები. არსებობს ფორმალიზმის გავლენები, ნაშთები, ელემენტები. ჩვენს მწერლობაში ფორმალიზმის გამოვლინება პირველ რიგში სიმბოლიზმის გავლენებისა და მისი ნაშთების ხაზით მიმდინარეობს.

დეკადენტობის — ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენს საბჭოთა მწერლობის სინამდვილეში ყოველთვის სწარმოებდა. მარქსისტული კრიტიკა დეკადენტობასთან, ფორმალიზმთან ბრძოლაში გაიზარდა. ცხადია, რომ ფორმალიზმი თავის მთავარ სახეებში დამარცხებულია. ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობდა უკანასკნელ წლებშიაც. „წმინდა“ ლირიკის „ყანწური“ ტრადიციების, აპოლტიურობის, დაცემულობის, „ლექსიტური“ სქემატურობის

წინააღმდეგ ბრძოლა, ეს ფორმალისმის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ამხ. კირპოტინი ამბობდა:

„სხვათა შორის ჩვენ პირველი დღე არაა რაც ფორმალისმის წინააღმდეგ გამოვდივართ. თქმა იმისა, რომ ჩვენ აქ არავითარ წარმატებისათვის არ მიგვიღწევია, ცხადია, ეს იქნებოდა სისულელე“.

ეს ითქმის საქართველოს მწერლობის სინამდვილეზე. ყველაფერი ეს არ ნიშნავს, რომ ფორმალისმთან ბრძოლის ამოცანები უკვე ამოწურულია. არა, ფორმალისმის ტრადიციები ჯერ კიდევ საქმოდ ძლიერია.

სიმბოლისტური „ყანწური“ ტრადიციების ხაზი, ამა თუ იმ ზომით ჯერ კიდევ გამოკრთის ზოგიერთ ყოფილ „ყანწელ“ პოეტთა შემოქმედებაში. და არამარტო მათ შემოქმედებაში. ხშირად ჩვენი კრიტიკოსებისა და მწერლების საგრძნობ ნაწილს ავიწყდებათ ამ ტრადიციებთან ბრძოლის აუცილებლობა. ხშირად თვით შემოქმედს არ ესმის თუ სახელდობრ რაში გამოიხატება სიმბოლისტურ გავლენათა ნაშთი.

პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილი გულმოდგინე და გულწრფელი საბჭოთა პოეტი. მას საგრძნობი მიღწევებიც აქვს საბჭოთა ლირიკის დამკვიდრების საქმეში. მაგრამ დრო და დრო მისდა უნებლიედ და შეუგნებლად სიმბოლისმის ტრადიციები მის შემოქმედებაში წამოყოფს ხოლმე თავს. ეს მეტად რთულ და ხშირად ძნელად გასარჩევ ფორმებში ხდება. თვით პოეტისთვისაც ძნელი ხდება მათი გამოცნობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ვ. გაფრინდაშვილი როგორც შემომქმედი თვით შეებრძოლებოდა ამ გავლენათა გაცოცხლების ყოველგვარ ტენდენციას. რატომღაც, მაგალითად, „ბალადა შლეიფისა და მარაოს შესახებ“ სიმბოლისტური გავლენის ხაზი? სადაა აქ ფორმალისმი? ვითომცდა ერთი უწყინარი და უბრეტენზიო ლექსია. ესა თუ ის შემოქმედებითი გავლენა, სერიოზული პოეტის მუშაობის ნაყოფი, რთულია და მისი პირველი შთაბეჭდილებით ახსნა არ შეიძლება. საჭიროა ღრმა ანალიზი და ნაწარმოების შიგა ბუნების გახსნა.

ბალადა შლეიფისა და მარაოს შესახებ სიმბოლისტური ხასიათის ლექსია იმიტომ, რომ სახე, რომლის შექმნასაც ცდილობს პოეტი, არა რეალურია, არაკონკრეტულია. იგი ხელოვნური და ილუზიონურია. ამ ლექსის პოეტური გამოსახვითი საშუალებანი მეტ წილად სიმბოლისტური არსენალიდანაა. აქაა: შლეიფი—წღვის ელჩი, მარაო—მიზრაფივით გადამტყდარი, მარაოს ფერფლი გულში ჩაკრული, ბედის მსხვერპლი, ხუდარის მსგავსი ფარდა და სხვ. ყველაფერი ეს სიმბოლისტური პოეტიკის სახეების ანარეკლია და იგი დისონანსად იჭრება სოციალისტური ლირიკის ნათელ რეალისტურ სახეებში. სიმბოლისტური თეატრალიზმის და ლიტერატურული შინა უცხოა ჩვენი პოეზიისათვის. ხშირად ვ. გაფრინდაშვილის კარგ ლექსებსაც თუ სავსებით არ აფუჭებს, საზიანოდ ამძიმებს მაინც სიმბოლისმის სახეთა დაუძლელობა. ლექსი „ზღვა“ კარგია. აქ მოცემულია ზღვის თავისებური და მეტად საინტერესო, პოეტური, ლირიული აფრთხილება. ასეთი ლექსიც კი არ არის თავისუფალი სიმბოლისტურად დარბილებული გრძნობებისა და წამოსახვისაგან. ლექსში შედარება, სახე, განწყობილება განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა. ბოლოს და ბოლოს ეს ელემენტები ჰქმნიან პოე-

ზის საერთო სტილს. ამიტომ ამ ელემენტების ანალიზი ჩვენ გვაძლევს ნაწარმოების ხასიათის გარკვევის საშუალებას. ვ. გაფრინდაშვილი ასე იწყებს ლექსს „ზღვა“:

„აქ სულმა ფრთების გაშლა გაბედა,
შემოიბერტყა სევდის ნაცარი“

ეს ძნელად წარმოსადგენი „სევდის ნაცარი“ უკვე თავიდანვე სხვა „სიმფონიის“ სასარგებლო ხარვეზს ქმნის პოეტის სტილში. ძველებური უცნაურობისა და არარეალურობის სტილის დამკვიდრებას სცდილობს. ამ ცდის განხორციელებაა შემდეგი:

„ვით ოიდიპოსქიმერა ძველი.

ტალღა გუგუნებს თავის ოსანას“.

უკვე შორეულსა და ხელოვნურ სამყაროში გადაგვისროლბ პოეტის წარმოსახვამ. ამის შემდეგ პოეტისათვის „ბუნებრივი“ ხდება მოშვებული განწყობილება:

„დღემდე მირაყებს ამაოდ ვქმნიდი,
ტყვილად ვეძებდი ზურმუხტებს, ლალებს,
სანახაობა ამაზე დიდი

არ ღირსებია ჩემ საწყალ თვალებს“.

აქ ჯანსაღი განწყობილება არეულია მონანიების სევდიან ტონთან ისე, რომ მკითხველს რეალური ცხოვრების მზითა და მშვენიერი ზღვის სანახაობით გამთზარი, ვაჟკაცური იერის მქონე შემომქმედის მაგიერ, უკვე ეცოდება საწყალთვალეებიანი პოეტი. ლექსში პოეტის ფანტაზია თანდათანობით სავსებით „ქიმერული“ ხდება:

„ისეთ დღისით მზე გამაშუქებს,
რომ მე ვიხილავ ძველ ქიმერიას.“

ასეთი სტილით გაშლილი ლექსი ბოლოვდება უკვე სავსებით სენტიმენტალური გულაჩუყებით და მეტად „პოეტური“ თვალცრემლიანი აღფრთოვანებით:

„ჰა, ორიზონტზე გამოჩნდა გემი,
მაღალ აფრების თეთრი შტოებით,
ისეთ სინაზის შეების მომცემი,
რომ დავიკვნესე მე სასოებით,
მთვრალი ტალღების უსაზღვროებით“.

უკვე ცხადია, რომ მთლიანად ამ ლექსში გაიმარჯვა იმ სტილმა, რომელსაც მიეყვართ სიმბოლიზმის არსენალისაკენ, მისი სახეებისა და განწყობილებისაკენ. ჩვენ დაწვრილებით გავარჩიეთ ეს ნაწარმოები, რომ გვეჩვენებია, თუხშირად როგორი შეუმჩნეველი პოეტური მოვლენები აბრუნებენ შემომქმედს წარსულის პოეზიის ხასიათისაკენ. ზოგჯერ ვ. გაფრინდაშვილის სავსებით რევოლუციურ ლექსშიაც გამოკრთის წარსულის ნაშთი, ლიტერატურშიჩინის ტვირთი; ეგნატე ნინოშვილისადმი მიძღვნილი ლექსი ზედმეტი, ბუნდოვანი და არარეალისტური ლიტერატურული სახეებითაა დამძიმებული:

„დიდო ეგნატე, შენ გვაოცებ შექსპირის სახით“.
 „კარლ მოორივით შეგვაყვარე გლეხი ფირალი“.
 „ხშირად მგონიხარ დაკარგული მაჩაბელივით“.
 „ჯანყის მედროშე ბნელ ქუჩებში დაიარები“.
 „ერთხელ ვერაზე დაგინახე—მტკვარის მხვერავი“
 „და კიდევ ერთხელ პირველ მაისს ვნახე იობიბად:
 „მუშებს და გლეხებს მიუძღოდი ხელაპყრობილი“.

პირდაპირ იესო ქრისტეს სახეა მოცემული. ერთი პატარა ლექსი ვერ აიტანს ამდენ ლიტერატურას. გარდა იმისა, რომ ძნელია ეგნატეს შექსპირთან შედარება, ისედაც შექსპირიც, შილლერიც, მაჩაბელიც მეტად წიგნურს ხდიან ნაწარმოებს. პოეტს კი სურს ეგნატეს ცოცხალი სახე მოგვეცეს, ამ ხერხით კი ეს ძნელდება. ასეთი კირტიკით ჩვენ არ გვინდა ვსთქვათ, რომ ყოველგვარი ლიტერატურული შედარება დაუშვებელი უნდა იქნას ნაწარმოებში. მაგალითად მეტად ღრმა და შინაარსიანია პოეტის: „ხშირად მგონიხარ დაკარგული მაჩაბელივით“-ო. მე მესმის რა სთქვა ამით პოეტმა და ეს ძალზე მახვილად მიგნებულია და ხაზგასმული. ახალგაზრდობაში დაღუპული ეგნატე, ღუხჭირი ცხოვრებით ამ ქვეყნიდან განდევნილი, არ გჯერა რომ მისი ცხოვრება, ნორმალურად დამთავრდა, ბუნერივი სიკვდილით. ის მართლაც და უცნაურად დაკარგული გვეჩვენება. ეს კარგია, მაგრამ მთლიანად ნაწარმოები არ შეიძლება შედგებოდეს ლიტერატურულ შედარებათა ჯამისაგან.

უხვი რემინისცენციები, ისტორიზმი, ლიტერატურზმინა, ზოგჯერ წმინდა სახის სიმბოლიზმი—ჭარბადაა ტ. ტაბიძის ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსში: „ორდენოსან საქართველოს“, მოუხედავად იმისა, რომ საერთოდ ეს ლექსი ნაბიჯი იყო წინ პოეტის შემოქმედებაში. პოეზიაში ფორმალისმის გამოვლინება რთული მოვლენაა. იგი არ განისაზღვრება მხოლოდ გაუგებარი, ბუნდოვანობის ხაზით. ჯერ-ერთი: ყველაფერი გაუგებარი ფორმალისმში არ არის, მეორე: შეიძლება ნაწარმოები იყოს გასაგები, სუფთად დაწერილი, მაგრამ მაინც ფორმალისტური. პოეტ პ. იაშვილის ლექსების ციკლი „ლირიკული ზაფხული საქართველოში“, სავსებით გასაგებია, სუფთად დაწერილია, მაგრამ მათ ფორმალისმის დალი მაინც ახის. დისკუსიის დროს პ. იაშვილმა მკაცრად გააკრიტიკა უკანასკნელ წლებში მის მიერ დაწერილი ფორმალისტური ლექსების მთელი ციკლი. მან უარყო ეს ლექსები, განაცხადა, რომ ლექსი „მაგიდა—ჩემი პარნასი“ მიმაჩნია მე ყოვლად შეუფერებელ ლექსად. პოეტმა წაიკითხა თავისი ლექსი:

„როგორც აფრის ტკაცუნი,
 მოვარდნილი ზღვიდან,
 ისეთი ვაყვაცური
 გაქროლება მინდა“.

. და სხვ.

და დაასკვნა: „განა ეს რიტმია იმისა, რასაც ჩვენ ვხედავთ ჩვენ სინამდვილეში, რასაკვირველია, არა“. სავსებით მართალია ასეთი გაბედული თვითკრიტიკის

დროს პ. იაშვილი. არა, ეს არ არის ჩვენი სინამდვილის რიტმი. ეს ფორმალისტური სიცარიელეა. ასეთი ლექსები არ არიან გამთზარი ღრმა იდეებით, გარკვეული, ამადელვებელი გრძნობებით. ასეთი ლექსები კარგი ქართულით, სუფთად დაწერილი არიან, მაგრამ არ ვარგა პოეზია ყველაფრისაგან სუფთა იყვეს; პოეტურ სახეებს აზრიან იდეური დატვირთვა უნდა ჰქონდეს. მათ არ მოაქვთ ღრმა აზრი, ღრმა გრძნობა, ასეთი ლირიკა ფორმალისტურია, ღარიბია, მათზე პოეტმა თვით სთქვა, რომ ეს ფორმალისტური რტციდივებია მის შემოქმედებაში. ამ პერიოდში პ. იაშვილს ბევრი ჰქონდა ლექსები. ლექსების შესახებ, პოეტური მუშაობის შესახებ დეკლარაცია და ლირიკა ძნელად შესათავსებელია. პ. იაშვილი ხშირად ცდილობდა მათ შეთავსებას. იგი გვპირდებოდა ლექსების დაწერას თავის პოეტურ განზრახვებზე გველპარაკებოდა. ეს პოეტურ ფორმებში გამოაქმული კეთილი სურვილები ხდებოდა პოეზიის საგნად, მათი რეალიზაცია კი არ ხანდა. ეს კი არის მთავარი. პოეტი მიმართავდა „საკუთარ თავს“:

„დაჯექ, დასწერე, დახატე,
ჩითაც ცხოვრება იყსება,
მიეც დამშეულ ქალღღებზე
სამვილიშვილო თვისება.
გარეშე საქმეს გადარჩი:
მან. ხალხი გააგულისა..

დასწერე, როგორ იზარდა
ჩვენი თაობის დიდება.

ხალხი გელის და ფარულად
გაძლევს გაკვეთილს ვალიანს.

რომ ლამაზ თქმაში გაშოლტო,
რაც დარჩა გულის შიგნითა,
რომ ამაყობდეს სამშობლო
შენი მდიდარი წიგნითა.

ვინც ერთგულ მიწას მსახურობს,
წიგნს ეცეს თვალგამაღლებით...

დაჯდა, დასწერა, დახატა
და მოკვდა როგორც მშრომელი.

(პ. იაშვილი „საკუთარ თავს“ სალიტ. ვახ.

1974 წ. 12 ნაწილი)

დიდებულია, უკეთესი დაკვეთა და ნამდვილი შრომის აუცილებლობის შეგნება შეუძლებელია, მაგრამ როდის-ღა? სადაა ეს მდიდარი წიგნი, რომ მით იაძაყოს სამშობლომ, მშრომელმა ხალხმა? სიციალისტურმა სამშობლომ ყველა-

ფერი გააკეთა იმისთვის, რომ პოეტები, მწერლები ისხდნენ და სწორდნენ საამაყო მდიდარ ვიწებებს, ის დაუღალავად ზრუნავს შემოქმედისათვის, სიყვარულით, ხალისით, დიდებით ამკობს მას. ეს თუ ყველაზე მეტად არა, სავსებით შეეხება პოეტ პ. იაშვილსაც. შემოქმედებითი დავალიანებები კი დიდია. „დაჯდა, დასწერა, დახატა“—ეს ოცნებაა. ამბობენ, რომ პოეტები მეოცნებე ხალხიო, მაგრამ სულ ოცნებით ცხოვრება არც პოეტს შეუძლია. ოცნება კარგია, როდესაც ის ოდესმე მაინც სინამდვილედ იქცევა. ჩვენ დროში ოცნება სხვაგვარია, იგი შეუჩერებელი ხორცს ისხამს, სინამდვილედ იქცევა. პ. იაშვილი შესანიშნავ სიტყვას ამბობს იმის შესახებ, რაც სასურველია, რაც უნდა გააკეთოს მან, მაგრამ სჯობია იმის შესახებ ბევრი ლაპარაკი არ იყოს და სამოქმედო გადაწყვეტილება იყოს მიღებული: ვზივარ, დაწერ, ვხატავ.

პ. იაშვილმა დისკუსიაზე კარგად ღებულა ასეთი მოვლენის შესახებ: „როდესაც პოეტი ხშირად წერს თავის ლექსების შესახებ, აქ ერთგვარი კრიზისი არის და ამ კრიზისში მეც განვიცდიდი“—ო. ეს სწორი შეკვებაა და იგი გვაფრთხილებს, რომ პოეტი დღეს კონკრეტული შემოქმედებით მუშაობის სწორ გზაზე დგომას ცდილობს. უკანასკნელი წლების მისი ლექსების ერთი ნაწილი—„სამგორი“, „კოლხიდი; პირველი მოსახლე“ და სხვ. რეალისტური ხაზის ნაწარმოებები არიან. ამიტომაც ამ ლექსებში მეტი სრსაცხე, მეტი აზრიანი დატვირთვა, ჩვენი ცხოვრებიდან აღებული შინაარსი. ეს გზა უნდა გაღრმავდეს და გამრავალფეროვანდეს: მხოლოდ ასეთი ხაზია ფორმალისტური ბრტყელია სიცილიის დაძლევის საშუალება.

ამ მაგალითებით გარკვეულია ჩვენი დიქციონერი: შეიძლება ნაწარმოებები სავსებით გასაგები იყოს, მაგრამ მაინც ფორმალისტური.

შეიძლება შემოქმედი რევოლუციურ ლექსებსა და ნაწარმოებს წერს, მაგრამ ფორმალისტმა აცილებული მაინც არ იყოს. ზოგჯერ ნაწარმოებში ყველაფერი თავის ადგილზეა, რთული რითმაც, შერხებულ სიუჟეტიც, გარეგნული რევოლუციური ელფერიც, მაგრამ მაინც აოფრის მთქმელი არ არის; ამ შემთხვევაშიაც შეიძლება მას არ ჰქონდეს აზრები, განცდები, სიყვარული და სიძულვილი. ასეთი ნაწარმოები სულით ღარიბია, ის ყალბი ფორმაა, უკეთ სიცილიის მოჩვენებითი გაფორმება. ასეთი მოვლენა უეჭველად ფორმალისტური რიგისაა. ფორმალისტიმისათვის დამახასიათებელია იდეური სიღარიბე, აპოლიტიურობა, მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ფორმალისტმა საბოლოო ანგარიშში თავის, ჩვენთვის მტრული იდეური საფუძვლები აქვს. ხშირად შემოქმედს არაფერი აქვს სათქმელი და იგი თავის სიცილიერეს ფორმალისტურ ზიზილ-პიპილებით ფარავს. ზოგჯერ რომელიმე მათგანს მტრული აზრები და გრძობები აქვს და მათ იგი ჩქალავს ხელოვნურ, გაბუნდოვანებულ ფორმალისტურ სამოსელში. ამ მოვლენას ხაზს უსვამდა მ. გორკი. ესა თუ ის ნაწარმოები შეიძლება სატყუარად პოლიტიკურად გარკვეული იყოს და გასაგებიც, მაგრამ მიუღებელი. ეს უკვე ფორმალისტში აღარ არის. არ არის ფორმალისტში, როდესაც პოეტი თვითმკვლელობის იანჯურზე წერს. ეს საყვარელით გასაგებად გამოთქმული დაცემულობის განწყობილებაა, ესენინის ხმა, თავისი, ჩვენთვის მიუღებელი აზრის მქონე. როგორც „პრავდა“ წერს, ფორმალისტში უარყოფს:

„სისადავეს, რეალიზმს, გასაგებ სახეს, სიტყვის ბუნებრივ ჟღერას“. ფორმალიზმი არ არის ნოვატორობა, ახალი ფორმის ძიება. ყველა დიდი კლასიკოსი ნამდვილი ნოვატორი იყო, მაგრამ არა ფორმალისტური თვითმიზნობის გზით აღწევდა იგი ნოვატორობას, არამედ ეპოქის მოწინავე იდეების გამოხატვის გზით, უღრმესი სოციალური შინაარსიანობით, პრობლემურობით. ასეთივე ნოვატორია მთლიანად საბჭოთა ხელოვნება. ფორმალიზმია — ხალხის, სინამდვილის, სიმართლის უგულვებელყოფა და ინდივიდუალისტურ-სუბიექტივისტურ ნაქუტში მომწყვდევა. გულგრილობა, ცხოვრებიდან გაქცევა და მისი არცოდნა, ღარიბი შემოქმედებითი ბიოგრაფია, უმნიშვნელო განცდები, შრომის შემოქმედებითი სიხარულის არქონება — აი ფორმალისტის თვისებები. როგორც „პრავდა“ წერს, ტყუილი და სიყალბე მტერია საბჭოთა ხელოვნებისა. ფორმალისტი ანტიდემოკრატიულია და ყრუ არის ხალხურ შემოქმედებისადმი.

ქართული მწერლობის უკანასკნელი მხატვრული პროზის ზოგიერთ ნიმუშებშიაც ფორმალიზმი სხვადასხვა სახით შელავნდება.

გასულ პერიოდში მწერალი დემნა შენგელია ფორმალიზმის ძლიერი გავლენის ქვეშ იყო. „თბილისი“ ტიპური ფორმალისტური ნაწარმოები იყო. დ. შენგელია ცხოვრებას აცილებული თვითმიზნური ფანტაზიის მოჯადოებულ წრეში ტრიალებდა. ამ ხაზით მისი ზრდა შეუძლებელი იყო. დ. შენგელიას დღევანდელი შემოქმედება ეს არის ფორმალიზმის საფუძვლიანი დაძლევის გზა. იგი უკვე ბეჯითად მისწრაფვის ნათელ, სოციალურად მნიშვნელოვან შემოქმედებისადმი.

შედარებით სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე კ. გამსახურდიას შემოქმედებაში. მისი რომანი „მთვარის მოტაცება“ არ გვაძლევს საშუალებას გაბედულად ვსთქვათ, რომ მწერალმა დასთოგუნა ფორმალიზმი, ეს უკანასკნელი კი მის შემოქმედებაში გასულ პერიოდში სტიქიურად ბატონობდა. მისი ძალა, ცხადია, რამდენიმედ შენედა, მაგრამ კ. გამსახურდია ჯერ კიდევ მაინც გაურბის რეალისტური ცხოველმყოფელობით შემოფარგვლას. „მთვარის მოტაცებაში“ ერთი ხაზით შეიჭრა ცხოვრება, რეალიზმი, მაგრამ „მარცხენა თვალის“ ელამი შეხედვა მაინც დიდ როლს თამაშობს ამ ნაწარმოებში. ფორმალისტური თვითმიზნობა ჯერ კიდევ სათანადოდ შეზღუდული არ არის. ეს შელავნდება მხატვრულ ხერხებშიაც, ტიპების შექმნაში. თარაშ ემხარის სახე ავტორმა გამოიყენა თავის ცოდნის გამოსამხეურებლად. ყველაფერი, რაც იცის მწერალმა. კ. გამსახურდიამ, მანჩასდო ამ რომანში. ეს მოხდა ფორმალისტურად, გარეგნულად და არა ნაწარმოების და მის გმირთა შინაგანი მოთხოვნილებების კარნახით. ინტელექტუალური დონის ამგვარი გზით გამომჟღავნება ყალბი ფორმალისტური გზაა. ხერხი ხერხისათვის ყოველთვის ფორმალიზმი იყო.

არზაყანი, რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი, სინამდვილის დამახინჯებაა. იგი შეთხზული ფორმალისტური ხერხებითაა ჩამოყალიბებული. იგი ავტორის გონების, სქემის ნაყოფი უფროა, ვიდრე სინამდვილისა. მწერალი კი სინამდვილის ამსახველი უნდა იყოს. ყველა საუკუნეში ფორმალისტების, არარეალისტ მწერლების მიერ მოგონილი „სინამდვილე“ ყოველთვის უფრო ღარიბი იყო ნამდვილ ცხოვრებაზე. არზაყანის სახეში და საერთოდ ამ ნაწარმოებში ფორმალიზმთან ნატურალიზმია გადანასკული. ასეც ხდება ხოლმე.

ჩვენი მწერლების ერთ ნაწილს, და მათ შორის კ. გამსახურდიასაც, ძალზე უყვართ კამათი ისტორიული რომანის წამყვანობის თუ არაწამყვანობის შესახებ. ისინი ვერ ამჩნევენ, რომ „ბრობლემა“ კი არ არის აქტუალური, არამედ ის, რაც ზოგიერთ ნაწარმოებს, და ყველაზე მეტად „მთავარის მოტაცებას“, ახასიათებს, ეს რომანი დაწერილია თანამედროვეობის მასალაზე. მაგრამ იგი დამძინებულია ისტორიზმის ტვირთით, კამათი ამ მოვლენის შესახებაა საჭირო, უკეთ: ამ მოვლენის დაძლევა საჭირო, რადგან მთავარი უბედურება ეს არის. ფორმალისში კ. გამსახურდიას რომანის მანერულ სტილშიაც მძვინვარებს. ვინაიდან წერილი გაავიგრძელდა, კ. გამსახურდიას რომანის ყველა მხარის (და მათ შორის ფორმალისტურისაც) სპეციალურ გარჩევას შემდეგისათვის გადავდებ. ამჟამად ჩვენი დებულების დასამტკიცებლად ესეც საკმარისია.

ჩვენს კრიტიკაში იშვიათად ისმის საკითხი ნატურალიზმის რაობის შესახებ. იგი საბჭოთა მწერლობის არანაკლები მტერია, ვიდრე ფორმალისში. ჩვენი მწერლობის ხალხურობის განმტკიცება შეუძლებელია ნატურალიზმის დაძლევის გარეშე. ეს მით უმეტეს, რომ ნატურალიზმი ფორმალისმთან მჭიდრო კავშირში იმყოფება. ცხოვრებას, სინამდვილეს ნატურალიზმიც ამახინჯებს. იგი „ასახავს“ ცხოვრებას ბრმად, პროტოკოლურად, იხრჩობა წვრილმანებში, ცმპირიზმის მონად ხდება. ნატურალიზმი რსებითს, ტიპიურს ვერ ხედავს: მთავარის შერჩევა და განზოგადება მას არ შეუძლია, მასაც არ ახასიათებს ღრმა იდეები: ყველაფერ ამის გამო იგი ამახინჯებს სინამდვილეს და არ გამოხატავს სიმართლეს. ნატურალისტური ლიტერატურა რუხი, დონდლო, მოჩვარული, უბათოსო და მეტ წილად უაზრო ლიტერატურაა. ნატურალიზმი ცუდი რეალიზმი ჰგონიათ. ეს არ არის სწორი. ვულგარული სოციალიზმი, რომელსაც ხშირად ნატურალიზმი მიმართავს, ფორმალისმთან მეტად ახლო მდგომია. იგი სქემატურ ცხოვრებას იგონებს, თავის ღარიბ აზროვნებაში წინასწარ ითვალისწინებს და, მასასადამი, ამახინჯებს სინამდვილეს, საერთოდ აღარბიებს მას. ჩვენ პოეზიაშიც და პროზაშიაც საგრძნობია ნატურალიზმის სახეები. უკანასკნელ წლებშიაც გვქონდა ნატურალიზმის გამოვლინებანი.

ელიზბარ პოლუმორდვინოვის რომანში „ილიძებენ მთები“ ნატურალიზმის საგრძნობი გავლენებია. ამ ნაწარმოებში სქემის მიხედვით ყველაფერი თავის ადგილზეა, მაგრამ არსებითად კი რთული სინამდვილე დაღარიბებულია, ხელოვნურად შელამაზებულია. ვერ გამოარჩევთ ერთმანეთისაგან გმირებს: სულიმანი ჰგავს მამედს, მამედი ალის და ა. შ. ინდივიდუალური თვისებები ტიპიურობასთან შეთავსებული არ სჩანან. ტრაფარეტია ცხოვრების სირთულის ასახვის მაგიერ, განყენებულია სოციალისტური ენტუზიაზმი; იოლია და ერთბაში კოლმეურნეთა აღფრთოვანება, მათი სოციალისტური პრაქტიკა. სინამდვილეში კი ასე არ ხდებოდა. ზერელეა მწერლის ცოდნა ცხოვრების მასალისა და ამიტომაც ხდება, რომ ის წვრილმანებს, არაარსებითს ნატურალისტურად აღწერს, გამართვიების გზით. მიდის. ამიტომაც, რომ არ გახსოვდებოდა არც ერთი გმირი; მკითხველს არ აღეღებს მათი ყალბი დრამატიზმი. არავინ დაუჯერებს მწერალს, რომ აქტიური კოლმეურნი მამედი ასეთი ფიქრებით იქნება გატაცებული: „თუ მომკლავენ, ესეც აუცილებლობა იქნება, ვილაც ხომ უნდა შეეწიროს ახალი

ცხოვრების საქმეს..“ ეს ყალბია, შეთხზულია. ნამდვილ მამედს ზერელედ იცნობს მწერალი, თორემ ასეთ ფიქრებს არ მოახკევდა თავს. ერთფეროვნება ამ ნაწარმოებში სძლევს მის მთელ რიგ დადებით მხარეებს. მწერალი ვერ დადგა ცხოვრების სიღრმის, ტიპიურის ჩვენების სიმამლევზე და რუხმა ნატურალიზმმა ტყვედ ჩაიგდო იგი. ე. პოლუმორდინოვმა ქართული ენა კარგად იცის, მაგრამ ნატურალიზმით გატაცებულმა ჩიქორთულით ააჭრულა თავისი რომანი, მან ოდნავ ცხრილშიც არ გაატარა გმირების ენა. (ჩვენ არ ვლაპარაკობთ, რომ მის გმირთ ენის თავისებური კოლორიტი არ უნდა დაეცვა) ამიტომ მკითხველი იძულებულია ყოველ გვერდზე იკითხოს, — რეიზა, იმიზა, პარტიე მუუოხრებია, აფერი დუუშა-ვებია, მეიკაკვება ზრუგში, ხოშნეთი მუუკლავთ და ა. შ.

ნატურალიზმის ტიპიური ნიმუშებია არისტო ჭუმბაძის 1934 წელს გამოქვეყნებული ვრცელი მოთხრობა „უნასთა ბუდე“. ამ ნაწარმოებში მწერალი გულწრფელად ცდილობდა სინამდვილე აეთვისებია საბჭოთა მწერლის პოზიციებიდან, მაგრამ შტამპის, ტრაფარეტის, გაცვეთილი ფორმის ვავლენა ვერ მოიცილა. მწერალს სურდა აესახა კლასობრივი ბრძოლა საბჭოთა სოფელში, გამოემყდევნებია ნიღაბით შებურვილი კლასობრივი მტრები და მივიღეთ კი ძველებური სქემა ბოროტისა და კეთილის შორის მუღმივი ბრძოლის შესახებ. ხალხის მაგიერ აქ უსახო მასაა. ტიპიურის შერჩევის მაგიერ მწერალი შემთხვევის განზოგადოების გზას გაჰყვა. ხალხოსნური მწერლობის მხამხარეულ თარგზე „ასახა“ სრულებით სხვაგვარი სინამდვილე. რთული სინამდვილის მაგიერ სქემა გაბატონდა. ნატურალიზმმა თავისი დალი დააჩინა ამ ნაწარმოებს და წაართვა მას მხატვრული დამაჯერებლობის ძალა. მანვე შებორკა ავტორის კეთილი ჭურვილები და გულწრფელი მონდომება.

ფორმალისმ-ნატურალიზმის ყველა ეს შემოქმედებითი ნიმუშები ერთგვარ ვაკვეთილად, დასაძლევ წინააღმდეგობად უნდა იქცეს საბჭოთა მწერლობისათვის.

ამ ამოცანის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური რეალიზმის საფუძველზე. მაღალი იდეურობისა და მუშათა კლასის დიალექტიკურ-მატერიალისტური ფილოსოფიის მომარჯვების გზით. ჩვენს მწერლობას აკლია ინტელექტუალური დონე. ამიტომაც ხდება ჩვენი შესანიშნავი ცხოვრების გმირების დაღარიბება ნაწარმოების ფურცლებზე. მწერალს ხშირად სტახანოველი, ინჟინერი, პარტმუშაკი თავის გონებრივ დონემდე დაყავს. ეს დონე კი ხშირად გაცილებით უფრო დაბალია და გმირიც გამოიყურება მკლედ, სქემატიურად. მწერალს უჭირს მათი რთული ფსიქოლოგიის, ღრმა იდეოლოგიის გადმოშლა. ზოგჯერ უბრალო საუბრის გადმოცემაშიც უმწეობას იჩენს. აუცილებელია ინტელექტუალური დონის ამაღლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვის გაიმარჯვებს ფორმალისტური სიცალიერე და ნატურალისტური პრიმიტივი.

უჩვეულოა ჩვენი მწერლობის მასალა და მას ძველი დახავსებული მარაგით ვერ დასძლევთ. ჩვენი ეპოქის მთავარი კაპიტალია ადამიანი, პირველად თავისუფალი, პირველად ყურადღების ცენტრში.

ჩვენი ქვეყნის გმირები კრემლში სტალინთან მისულნი საქვეყნოდ ლაპარაკობენ თუ როგორ გაიფურჩქნა და გაიზარდა ადამიანი. იშლება ზღვარი გო-

ნებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის. ძროხის მწველავი ქალები, მკედლები, მწყემსები, ინჟინრები, სტახანოველები ახალი ხალხია. მწერალი უნდა ჩასწვდეს მათს ბუნებას, ღრმად განიცადოს მათი გმირული საქმეები. დღეს ინტელიგენტური, ამის დადებითად გაგებით, ხდება მასსა. მწერლობის დიდ საგრძნობ ნაწილის გმირთა გალერეაც უნდა შეიცვალოს. საკუთარ თავის ირგვლივ ტრიალი და ინტელიგენტთა ვიწრო წრის წარმომადგენლების ბატონობა ნაწარმოებში უნდა შებრუნდეს. ამის შესახებ შესანიშნავად სტკვა გორკიმ, რომ მწერლობაში ჯერ კიდევ დიდი ადგილი უჭირავს ინტელიგენტს: „Интеллигент, сын интеллигента и их драматическая возня с самим собой“.

ეს ხდება თვითშეყვარების, თვითკმაყოფილების და ხალხის ფართო წრეებთან ნაკლები კავშირის გამო. დღეს ახალი ინტელიგენცია შეიქმნა. ეს შესანიშნავად განმარტა გენიალურმა სტალინმა თავის მოხსენებაში, საბჭოების საგანგებო ყრილობაზე. მწერლობას სჭირდება მეტი მლელვარება, მეტი ცნობისმოყვარეობა.

ზოგიერთი მწერლები შეყვარებულნი არიან თავის ბავშვობაში, თავის ახალგაზრდობაში. ისინი წარსულში მიღწეულ შემოქმედების ნიმუშებით აპირებენ ცხოვრებას. ცნობილი რუსი მწერალი იური ოლეშა მწერალია ყრილობაზე ამბობდა, მე ჩემი თავი, ჩემი ბავშვობა უნდა ვსწეროვო, დამტოვეთ მე კავალეროვად, ესაა ჩემთვის ახლობელიო. ეს ყალბი გზაა, მწერალი ცხოვრების ზღვას არ უნდა გაექცეს, თორემ ჩამორჩება, მკითხველი ჩამოეცლება. არ არის შემთხვევითი, რომ ნიკ. ოსტროვსკის წიგნი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ მილიონების საყვარელი წიგნი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ აქ მან მეტწილად თავის-თავი აღწერა. მისი ბიოგრაფია კი ტიპიური იყო, ჩვენი მლელვარე ცხოვრების საუკეთესო ილუსტრაცია. ძღვეამოსილად გამარჯვებული დამკვიდრდა დიმიტრი ფურმანოვი თავის „ჩაპაევით“, „აჯანყებით“ და ს.ვ. მათი გამარჯვების საიდუმლოება ჩვენი ცხოვრების შუაგულში ყოფნაა, მისი სწორი და მლელვარე ასახვაა. ვსევოლოდ ივანოვი დიდი ოსტატი, მაგრამ მისმა უკანასკნელმა ნაწარმოებმა „ფაქირის თავგადასავალმა“ მაჩუცი განიცადა, რადგან აქ მან ფორმალიზმს სადავეები მოუშვა, ცხოვრების ღრმა ასახვაზე მალლა ლიტერატურული ოსტატობა დააყენა. გამარჯვებისათვის კი აუცილებელია მათი არა დაპირდაპირება, არამედ ორგანიული შედუღება. ყველაფერი ეს მწერლობის ახალგაზრდა კადრებსაც შეეხება. მთელი რიგი ახალგაზრდობისა გულგრილ ლექსებს სწერენ, წვრილმანებს აჩუქურთმებენ. ასეთ პოეზიას შ. გორკიმ „ბაყაყური პოეზია“ უწოდა. ახალგაზრდები უკვე ცნობილი მწერლების გამოცდილებას უნდა დაუჟვირდნენ.

მეტად საგულისხმეოა, რომ პოეტი კ. კალაძის ზრდა შეაფერხა უსულგულო ფორმალიზმმა, წვრილმან ჩუქურთმების მოქანდაკობამ. იგი ეხლა იმართება წელში მხოლოდ ამ ჩუქურთმების უკუგდების გზით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფორმალიზმის შეუმჩნეველმა ელემენტებმა დააზიანა და ნაკლებ პროდუქტიული გახადა გრძნობიერი პოეტი, ლექსის კარგი ოსტატი ირაკლი აბაშიძე. უკანასკნელ წელს მისი მუშაობის გამოცოცხლება შექველად ამ საშიშროების შეგნებისა და დაძლევის გზით მიდის.

ახალგაზრდობამ და შთლიანად საბჭოთა მწერლობამ თავისი მასწავლებლები სწორად უნდა აირჩიონ. პირველი და მთავარი მასწავლებელია სოციალისტური სინამდვილე, პარტია, ახალი ადამიანი. აი აქ უნდა გამოიხატოს მწერლის ღრმა ცოდნა, პრაქტიკული აქტივობა, აზვისების და ჩაწვდენის უნარი. საბჭოთა მწერლობამ უნდა აითვისოს კაცობრიობის წარსული კულტურის მთელი განძეულობა, კლასიკური მწერლობა. დეკადანსის პერიოდიდან ჩვენ ვერაფერს ვერ ვისწავლით. დეკადენტების თავებზე ზევით—კლასიკოსებისაკენ, აი ჩვენი გზა. ჯოისი კი არაა, უსიტყვო მალარმე კი არაა, არამედ ბალზაკი, პუშკინი, გოეტე და ა. შ.

მთელი ამ წლების განმავლობაში ქართველ დეკადენტებისგან სწავლა კი არ იყო. საჭირო, არამედ მათთან ბრძოლა, მათ გავლენის აღმოფხვრა. ამით აიხსნება ის ცხარე, თანმიმდევრული, სასტიკი ბრძოლა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით დეკადენტების—„ყანწელების“ წინააღმდეგ. და ამ დეკადენტობის ნაშთების წინააღმდეგ დღესაც არ უნდა შევანელოთ ბრძოლა. ამის გარეშე საბჭოთა, პროლეტარული მწერლობა არ შეიქმნებოდა. მომავალი ზრდაც და განმტკიცებაც დეკადანსის, ფორმალიზმის, ნატურალიზმის ნაშთებთან ბრძოლის ნიშნის ქვეშ უნდა წარიმართოს და კიდევაც ასე მიემართება ჩვენი მწერლობის განვითარება.

ჩვენ საბოლოოდ უნდა აღვკვეთოთ ყოველგვარი დეკადანტური ცრუმორწმუნეობანი, კლასიკოსების ირგვლივ შექმნილი კიდევ უფრო ფართედ გავწაღდით გზა რუსთველის, ბარათაშვილის, აკაკის, ილიას, ვაჟას მზიანი და მხატვრული ელვარებით მჩქეფარე პოეზიისაკენ. ისტორიული გენიალური მემკვიდრეობის სათანადოდ ათვისებით და ჩვენი სოციალისტური ქვეყნის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირით, საბჭოთა მწერლობა გახდება ნამდვილ ხალხურ მწერლობად.

პასუხისმგებელი რედაქტორი—**შალვა რადიანი**
მდივანი—**ალ. აბაშელი**.

1937წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამოდის ყოველთვიურად.

ხელის მოწერის პირობები:

წლიურად 18 მან.

ნახევარი წლით 9 „

ცალკე ნომერი 1 მ. 50 კ.

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპეჩატის რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, მახაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.